

გიორგი (გუგული) ქეზურია

შემოდგომის გამოქაჩილი



თბილისი
2014

გიორგი (გუგული) ქეზურია

შემოღობის გამოცხილი

ლექსები
თარგმანები
ჩანახატები





თბილისი

2014

84 Гр-5 (2Г)
894-631 (479-22)
К-33

**ელექტრონული ფოსტა: qeburia@rambler.ru
მობ: 595-57-41-94**

© გიორგი ქებურია, 2014
ISBN 978-9941-0-6900-0



ერთ წელიწადში გამომეცალენ ხელიდან უსაყვარ-
ლესი მეგობრები: მერაბ გამყრელიძე, მიშიკო შენგელია,
ზაურ ბოლქვაძე და ჯანრი კაშია. დამშვიდობება
მათთან გრძელდება დღემდე და გაგრძელდება, ვიდრე
ჩვენ არ შევხვდებით ერთმანეთს ზეციურ სამყაროში.
ნათელში ამყოფოს ღმერთმა მათი სულები!

გუგული ქებურია



იყო და არა იყო რა,
იყო თაობა ზღაპრული,
ძლიერი, როგორც წიქარა,
როგორც სიმღერა ქართული.



საძმო გაუყვა “შორი გზას”,
ყველა თავის ბედს ეწია,
მე კი მარტოდ ვარ ხვალის კარს,
ნუთუ ზამთარი მეწვია?

მე არც სიცივე მაშინებს,
არც დათოვლილი წლები.
ღმერთო, წამსვლელ კაცს რად მარგე
გამცილებელის ხვედრი?

რა ხშირად მენატრებიან,
ჩვენ სულ ერთად ვართ თითქოს.
როცა მათ ნამღერს ვმღერივარ,
თითქოს მისმენენ, თითქოს.

მათ ნაკვალევზე დავდივართ,
მათ ნაფიქრალზე ვფიქრობთ,
ჩვენ მათი ხსოვნის კვალი ვართ,
გულს მოგონებით ვითბობთ.





ანი

ხეზე ობლად დარჩენილა ფოთოლი,
ქარს ემდურის: რად არ წამიყვანაო!
აქ რომ დაგჭკნე, ვიდას მოვეწონები,
აღარავინ გამიყოლებს თანაო.

ბანი

რამ ჩააქრო შენს თვალებში სიყვარულის ალები?
სევდა რატომ დაგეუფლა, რატომ არ მეკარები?
შენს ლოდინში დამეს ვათევ, დამეღალა თვალები,
მოგონება რას მიშველის, შენ თუ დამეკარგები?

ანი



მეკითხები, რამ ჩააქრო?
სევდამ გამუქებულმა,
ყალბ სონეტს რომ ვერ გაუძლო,
გულმა დადუმებულმა.

ვიცი, მეტყვი, ირევაო
ცხოვრებაში ფერები,
მე კი ისევ ლაჟვარდს ვეტრფი,
რა ვქნა, ვერ შეველევი...

ბანი

მივალ ხვალის კარს გავადებ,
აღსრულდეს, რაც მიწერია,
ჯერ ფარდა არ დაშვებულა,
ჯერ არჩევანი ჩემია.






ბერ თუშის სიმღერა



*მიყვარს და ვინ კი არ ვიცი,
ერთგული ჯერ არ მყოლია,
ობლად შემომრჩა ოცნება,
ჭაღარის თანატოლია.*

შავო ღრებელო, სად გარბი?
რად არ იწვიმებ აქაო?
განა ჩემსავით დამწვარი
სხვა გეგულება მოასაო?

პატარა კაცი სუსტია,
აღმართ ვერ დაეჭიდების,
მისი ბუხარი ფუჭია,
ცეცხლი არ მაეკიდების.

ნამდვილ სიყვარულს დასაწევას
სიცოცხლე არ ენანების,
გრძნობის მორევში ჩავითრევს
ტალღებში გეთამაშების.






ქორწილ ვახარებ მყინვართწვევრო,
თოვლსაც დავადნობ მოაშია,
აღაზან ადიდებული
კალმას მამიგდებს კარშია.



მალ-მალ ბიჭ დაიბადების,
კარგობა აღორძინდება,
თუშურ სიმღერის ჰანგებზე
მტერსაც კი გაელიმება.

მიიქარიან ღრუბლები,
ხანძარს აქრობენ ვისაო?
სიზმრად თუ დამიბრუნდება
ჩამონაბერო მთისაო.

P.S.

ვინ რას გაიგებს ბედობას
იდუმალ წუთისოფელის.
ვიდრე კალმასსა იჭერდე,
გაგისხლტებოდეს, გარბოდის.





* * *



წვიმის მადლი,
მიწის ყადრი –
კაცის გადამრჩენია.



ქალად ქალი,
კაცად კაცი –
სანთლით საძებნელია.

ყველა კაცის
საიდუმლო –
ვარსკვლავებს უწერია.

ჩემი ტრფობა,
შენსკენ ღტოლვა –
ზეცის განაჩენია.

ბედისწერა,
სიყვარული –
გზაჯვარედინებზეა.





მღელვარება
პირველ კოცნის –
მუდამ სანატრელია.


და სამარის
ჭიშკარამდე –
გული ნაკვალევია.



სიყვარული,
ვით სიცოცხლე –
ერთხელ ნაბოძებია.

წვიმის ბაღე
მზის სხივებში –
ცისარტყელის ფერია.

P.S.

სევდით ვიყავ შეპყრობილი, დარდად იქცა წყვეული,
მაინც ვებრფი წუთისოფელს, თუნდაც ვიყო ეული.
ბედისწერას ვემალეები, მაგრამ სად გავექცევი?
ვირბენ, ვივლი, ვიჭიდავებ, სანამ არ წავიქცევი.





„ცაო ლურჯდება ზოლი,
გულო, ოცნებას მაღაგ“
გალაქტიონი


* * *



გაღას ღვთაებრივი სული
აღმაფრენას მისდევდა,
მისი პაწაწინა გული
გალაქტიკას იტევდა.

კაცის გული ხან წვეთია,
ცრემლად გადაქცეული,
ხან კი გრძნობის მორევია,
ტალღად აზვირობებული.

ხან ზეცაში აფრინდება,
ემხით გადარეული,
ხან კი ელვით იფერფლება,
ნაფლეთებად ქცეული.

მოელ სამყაროს ერთ სტრიქონში
ნათლად წარმოგვიდგენდა,
მარტოხელა გაღას გული,
გალაქტიკას იტევდა.





* * *

სიზმრად გნახე, ვერ მიცანი,
ამარიდე თვალები,
მე კი მაინც ვერ გივიწყებ,
ნუთუ არ გებრალები?!


ცხადში შენი ნახვისათვის
ცხრა მთას გადავირბენდი,
ერთი მოფერებისათვის
ჯოჯოხეთს ჩავირბენდი,



ჩაძინებულს, ვით ზღაპარში,
კოცნით გაგაღვიძებდი,
რომ მამყოფა იმ სიზმარში,
სულ არ გავიღვიძებდი.

სიყვარულის აღარ მჯერა,
აღარ ვნატრობ გაზაფხულს,
მაგრამ სიზმარს მაინც ველი,
შენი ეშხით გათანგულს.

P.S.

ნუთუ აღარ გავიღვიძებ
გარიჟრაჟზე ამიერ?
ნუთუ ვეღარ მოვესწრები
ღვთიურ მრავალჟამიერს?





შენ მხოლოდ ის თოვლი გიცნობდა

ზოგი ბრმად მიჰყვება გზას,
ზოგი ბილიკს ირჩევს,
ზოგი გულში სტოვებს კვალს,
ზოგი თავს არ იჩენს.



გ.ჭ.



მე ვაკვირდები თოვლზე ნაკვალევს,
შენი ფეხის კვალს დავეძებ გზაზე.
რატომ მივყვები სხვის ნაფეხურებს,
რომ გამიყოლონ მათ სადმე კვალზე?

შენი კვალია აქ, სხვათა შორის,
მეც სხვათა შორის გიყვარდი ალბათ.
დნება ტუჩებზე შენი ამბორი
და სიყვარულიც ილევა ლანდად.

თოვლმა დაკარგა ქათქათა ფერი
და ბილიკებმა იღუმალემა.
გადასხვაფერდა აქ ყველაფერი,
სევდა საკუთარ თავს ემალება.

მე კი მეგონა, კვალს მივაგენი,
როგორ შევმცდარვარ! ჩემი ბრალია.
ბრმად მივალ გზაზე, სდუმან ბაგენი.
ჩემს გულში ისევ სევდის კვალია.





ყველასათვის სახალისო,
სიყვარულის მოლოდინში,
ჭკნება ვარდი სათავეისოდ.
არ იკარებს არავისო.

გ.ქ

აი ია


გადაფურცლავ ნაკითხ გვერდებს,
შევეყრები ფერს იისო,
გაცოცხლდება მოგონება
ვნების დავიწყებულისო.



დავაფარებ ხელს სათუთად
საიდუმლოს წარსულისო,
მის სიამეს, მის სიმწარეს,
ვერ გავანდობ ვერავისო.

თვალს დავხუჭავ, ჩავფიქრდები,
ნეტავ ახლა სად არისო,
მელიძემა, მეტირება,
ალი მეცა შეხვედრისო.

ამაოდ რომ დავეძებდი,
თურმე აგერ, აქ არისო,
აწმყოშია მომავალი
სევდანარევ წარსულისო.

დამჭკნარა და მოწყენილა
მინდვრის პატარძალი ია,
სიყვარულის მოლოდინში
გვაღვის რისხვა მოსწრებია.





ჩემს გულში ისევ სევდის კვალია


მე არ დავწყები გზებს, ფართოდ გაშლილს,
იქ მუდამ სჭარბობს ხალხთა სიმრავლე.
სადღაც მივყავარ ჩემს ფიქრებს აშლილს,
მე შენს ძებნაში ჩემიც დავკარგე.

მეც იმ თოვლივით დავდნები მალე,
და მოგიგონებთ შენ და სინანულს.
შენ მე კი არა, ღმერთს დაემაღლე!
გზა აუბნე ნამდვილ სიყვარულს.

მე დავეძებდი კვალს გამორჩეულს,
ის კი სხვისგან არ განსხვავდებოდა..
შენს ნაკვალევზე ვეძებდი რჩეულს,
ის კი ოცნების ნისლში ქრებოდა.

P.S.

მე შენს თვალეში ვეძებდი იმედს,
კვალს დაკარგული ბედ-იღბალისა.
მე გთავაზობდი სიყვარულს პირველს,
შენ კი ნამცეცებს ნასუფრალისა.





ავტობორტრეტი



*“Ad u рай две половины души”
Омар Хайям*



ხან ზღაპრული თამადაა, ხან ქეიფის ჩამშლელია,
ხან მფარველი ანგელოზი, ხან იმედის წამშლელია.
სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთმანეთში არევია.
ორივ ერთად სულში ბუდობს, რომელ კუთხეს
რომელია?



კეთილშობილების მიღმა, ბოროტება დამხვედრია,
ერთგულების ტანსაცმელი მოლაღატეს მორგებია.
ვერ გავიგე, ამ ნიღბებში მისი სახე რომელია,
ან როდემდე ითამაშებს – სცენა წუთისოფელია.

თუ უნდა, რომ თავს უშველოს, ჩაიხედოს სარკეშია,
წარსული და მომავალი, რატომ შეუძლებია?
მისი სახლის დედაბოძი, თავად რად წაუქცევია,
ეს დალოცვილი ქვეყანა რისთვის შეუწუხებია?

აღარც მისი პური მინდა, აღარც მისი მარილია,
სანამ პასუხს მივაგენი, ჩემი ლექსიც დაილია,
ჩავიხედე სარკეში და... ნუთუ ავტობორტრეტია?
სამოთხე და ჯოჯოხეთი სულში განუყოფელია.

P.S. უდარდელობის სიმძიმეს
რისთვის მივათრევთ კარზედა...
ყოველ ცოდვას და სიკეთეს
შეგვიფასებენ ცაზედა





გამოჩენილ მეცნიერთა აზრით 2030 წლის შემდეგ ადამიანის გადაშენების პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, თუ მანამდე კაცობრიობა არ მოიმოქმედებს რაიმე სასწაულს.

ზღაპარი დიდებისთვის


ვეფხვი ვნახე ზოოპარკში
ნადვლიანი თვალებით.
მთხოვა სახლში გამიშვიო,
ნუთუ არ გებრალები?!



მე რუსთველის ენითა ვარ
გალექილი ზღაპრადა,
ახლა ტყვეობაში ვკვდები,
არ მახსენოთ ავადა.

ნეტავ იმ კაცს მოვეკალი,
რომ მესროლა წამალი,
გამიბრუა ძილით თავი,
დამიკარგა გზა-კვალი.

დედაჩემი მებრალება,
უნუგეშო, საწყალი,
ახლაც მეძებს, ვერა ხვდება,
მისი შვილი სად არის.

ღამე კარებს თუ გამიღებ,
ჩუმად გავიპარები,
კაცის ცოდვას არ დავიღებ,
მენდე, გემუდარები.





შემეცოდა ნადიროთ მეფე
და გავუღე კარები,
მაგრამ ვეფხვი არ იძვროდა,
ჩაქრობოდა თვალები.


მითხრა, ვიცი, თუ გაგიგეს,
აქვე შემენაცვლები,
დედაშენსაც გაუხდება
ნაღვლიანი თვალები.



თუ დედაჩემს სადმე შეხვდე
(მოდაშია ტყავები),
ვიდრე ბუხრის წინ გაიფენ,
დაუხუჭე თვალები.

მას შემდეგ სულ მაგონდება
ვეფხვის დანაბარები,
მას შემდეგ სულ მეღანდება
ნაღვლიანი თვალები.

P.S.

როცა ცოდვის გაღიაში
მარტოდმარტო დავრჩებით,
ვიდას ეტყვის ბოლო კაცი
„ღამიხუჭე თვალები.“





სულიერების
სიკვდილი ფიზიკურს
განაპირობებს
ბ.ქ.

ნუთუ ეს საქართველოა?



ერი ვიყავით ამაღლებული,
ვაუკაცური და განათლებული,
რამ დაგვავიწყა ჩვენი წარსული?
მტრის უღელშია ხალხი ჩაბმული

გაყიდულია და გაძარცვული,
მიწა, სული და ენა ქებული,
აღარც ღმერთი სწამთ, აღარც მამული,
გმირთა მოდგმაა დამონებული.

ხატი ღვთისმშობლის აცრემლებული,
სინდის-ნამუსი გაყუჩებული,
მთელი თაობა დაობლებული,
სამშობლოს მცნება გაორებული.

ჩვენი იმედი, სვეტიცხოველი,
დიდოსტატივით მკლავმოკვეთილი,
ოშკი თურქეთში მიტოვებული,
კლდეში ვარძია ჩამონგრეული.






ცხუმ-აფხაზეთი გარუსებული,
ახალქალაქი გასომხებული,
ბათუმ-ქალაქი გათურქებული
და სამაჩაბლო გაოსებული.

ხანჯალ-აბჯარი დაობებული,
ბოროტება კი გაღაღებული,
მიწა ქართული გასხვისებული,
უცხო ტომებით დასახლებული.

სისხლი მჩქეფარე გაზავებული,
ენა რუსთველის მივიწყებული
მინდა ვიხილო განახლებული,
ხალხში ღირსება გაღვიძებული.

ტალღა გმირების აზვირთებული,
წმინა გიორგი ამხედრებული,
მიწა ქართული აყვავებული,
ჩემი სამშობლო გამარჯვებული!





მოწინააღმდეგებო...

მე ვუხმენ ვიქრებს, სევდით შეფერილს
და თვალს ვაყოლებ იმედს გაფრენილს...

გ.ძ.



რას ვერ გაგატან შენ, სხვასთან წასულს,
მე ვერ გაგატან ბედნიერ წარსულს,
გაგატან ცოდვის მწარე სინანულს,
უიმედობით დამჭკნარ თაიგულს.



მე ვერ გაგატან გულს დამდურებულს
და მოგონებებს ვერდავიწყებულს,
ბოდვას დამისას, ვნებას დაღალულს
და ჩემს ოცნებას გზაზე დაკარგულს.

ვერ გაპატიებ დაღატის ტკივილს,
გაგატან იმას, რაც არად მიღირს,
გაგატან სხვასთან შენს მაცდურ სიცილს
და ბედისწერის დამცინავ ღიმილს.

P.S

იქნებ ცოდვა ცოდვად არ მიგაჩნია,
ან ზნეობა სულაც არ გაგაჩნია?
ქვეყნად ცოდვა არვის ეპატიება,
თუ არ ახლავს თანვე მონანიება...








* * *

ხმაში ქრება სითბო ბგერის,
მივხვდი უკვე, მე რაც მელის,
მშვიდად მეტყვი: - ნულარ მელი,
სიყვარულზე ნუ მიმღერი.

თავს იწონებ იმით, რომ ხარ
ცოდვის მიმტვევებელი,
სინამდვილეში ყოფილხარ,
გზაზე მიმტოვებელი!

არ გემღური, არჩევანი
შენი მიღებულია:
აწმყო კარს რომ გაიხურავს,
ის უკვე წარსულია!






ჭაბუა ამირეჯიბის
– ბერი დავითის ხსოვნას


სევდა კიდევ ერთხელ მომეძალა,
კიდევ ერთი ძმა დააკლდა სულს,
განშორების კვალი, ვით იარა
სინანულით დაამძიმებს გულს.

რალა დამრჩა – მხოლოდ მოგონება,
წარსულს ჩვენსას ვერ წაგვართმევს დრო
შენი დათა ხშირად მაგონდება,
სიმართლის გზას რომ უხსნიდა ბრბოს.


არ თავდება ჩვენი მეგობრობა,
შენი სიტყვა კვლავ გვინათებს გზას.
შენ იცოდი სულის მკურნალობა,
ამიტომაც ეყვარები ხალხს.

მე სათქმელი არ გამომეღევა,
ვიცი მალე შემოგიღებ კარს.
კაცს სიცოცხლე სულ არ ენადვლება,
როცა გზაზე ვედარ ტოვებს კვალს..





ვნების მარანი






ხელუხლებელს,
მიუწვდომელს,
ვეტრფი ყოველ
წუთს.

არვინ მეტყვის,
არც მე ვიცი,
რად ვიფერფლავე
გულს.

განა მართლა
ვინმე მისთვის,
ანდა სხვისთვის
წუხს...


ვნების მარანს,
დროის მარაგს,
დაეწაფოს
სურს!







ზაურ ბოლქვაძის მეუღლეს, ჯენარო გეწაძეს

ჩემო ჯენარო, ვის შეგადარო?
დედა ტერეზას მადლის სადარო.
ვინც გააჩინე და ვინც არჩინე,
ვინც სამარის კარს გადაარჩინე:
ყველა სიკეთე დაგიბრუნდება,
ყველა სურვილი აგისრულდება.
ღმერთმა მოგცეს ის, რაც გეკადრება,
რაც იქ ზაურის გაუხარდება!








ოპტიმისტური სონეტი

მე დავასრულებ სცენაზე როლს,
ვიდრე უფალი წამიყვანს შორს.
გავიყოლიებ ცოდვებს და მადლს
და ჯოჯოხეთში შევადებ კარს.

უფალი მკითხავს: - ვის ელოდები?
მოინანიე შენი ცოდვები.
სიკეთეც ბევრი დაგითვისია,
შენთვის სამოთხე დამიწესია...






თარგმანები



А.С.Пушкин

* * *

Я вас любил: любовь еще, быть может,
В душе моей угасла не совсем,
Но пусть она вас больше не тревожит:
Я не хочу печалить вас ничем.

Я вас любил безмолвно, безнадежно,
То робостью, то ревностью томим.
Я вас любил так искренно, так нежно,
Что дай вам бог любимой быть другим.





ა.პუშკინი



* * *

მე თქვენ მიყვარდით, და სიყვარული
ჯერ არ ჩამქრალა გულში ეგების,
მაგრამ ნუ მისმენთ, ჩემი წარსული
განა ღირსია თქვენი ფიქრების.

მე თქვენ მიყვარდით განუსაზღვრელად,
ვიყავ ეჭვებით ნაავადარი.
მე თქვენ მიყვარდით ისე გულწრფელად,
რომ ღმერთმა მოგცეთ სხვა ამდაგვარი.

А.С.Пушкин







* * *



Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.

Увы! напоминают мне
Твои жестокие напевы
И степь, и ночь — и при луне
Черты далекой, бедной девы.

Я призрак милый, роковой,
Тебя увидев, забываю;
Но ты поешь — и предо мной
Его я вновь воображаю.

Не пой, красавица, при мне
Ты песен Грузии печальной:
Напоминают мне оне
Другую жизнь и берег дальный.








ა.ს. პუშკინი

* * *

ნუ მიმღერი სევდიანი საქართველოს სიმღერებს,
მაგონებენ მე ისინი სულ სხვა ქვეყნის ტრამალებს.
სხვა ცხოვრებას, დავიწყებულს და შორეულ ნაპირებს,
მოვარის შუქზე განათებულს, ქალის სახეს მღუმარეს.



შენთან ყოფნა, შენი მზერა, მოგონებებს მაშორებს,
მაგრამ შენი სიმღერები, ისევ იმ ქალს მაგონებს.
ნუ მიმღერი მე, ლამაზო, სევდით სავსე სიმღერებს,
მაგონებენ მე ისინი სულ სხვა ქვეყნის ნაპირებს.





Михаил Лермонтов
А. О. Смирновой

В простосердечии невежды
Короче знать вас я желал,
Но эти сладкие надежды
Теперь я вовсе потерял.
Без вас хочу сказать вам много,
При вас я слушать вас хочу,
Но молча, вы глядите строго,
И я в смущении молчу.
Что ж делать?..
Речью неискусной
Занять ваш ум мне не дано...
Все это было бы смешно,
Когда бы не было так грустно.





მ. ლერმონტოვი ა.ო.სმირნოვას

სიღამაზით გატაცებულს,
თქვენთან სიახლოვე მსურდა,
მაგრამ ტკბილი ოცნებები
სამუდამოდ გამიცრუვდა.

სათქმელი მაქვს ბევრი თქვენთვის,
ნახვისას კი ვარჩევ სმენას,
ჩუმად, ალბათ იმიტომ ვარ,
რომ ვერ ვუძლებ თქვენს ცივ მზერას.

რა ვქნა, ჩემი საუბრებით,
თქვენს გონებას ვერ გავართობ.
სასაცილო იქნებოდა,
მაგრამ მე რატომღაც ვდარდობ...





Анна Ахматова

* * *

Что ты бродишь неприкаянный,
Что глядишь ты, не дыша?
Видно, понял, крепко спаяна
На двоих одна душа.


Будешь, будешь мной утешенным,
Как не снилось никому,
А обидишь словом бешеным,
Станет больно самому.



ანა ახმატოვა

* * *

რად დადიხარ დაბნეული,
თვალს მარიდებ განაბული?
აღბათ მიხვდი, რომ ერთ სულში,
ვართ ორივე გადაბმული.

განუგეშებ ისეთ ვნებით,
რომ ვერავის ესიზმრება.
მაწყენინებ უხეშ ქცევით,
ჩემზე მეტად გეტკინება.







Анна Ахматова



И упало каменное слово
На мою еще живую грудь.
Ничего, ведь я была готова,
Справлюсь с этим как-нибудь.

У меня сегодня много дела,
Надо память до конца убить,Ю
Надо, чтоб душа окаменела,
Надо снова научиться жить.

А не то.. Горячий шелест лета,
Словно праздник за моим окном.
Я давно предчувствовала этот
Светлый день и опустелый дом.

22 июня 1939 г. Фонтанный дом.






ანა ახმატოვა



* * *

გულს დამეცა სიტყვის ღოღი მძიმე,
ღმერთო ჩემო, რა გაუძღვებს დარდს?
მზად ვიყავი თითქოს ყველაფრისთვის
და როგორმე მოვერევი თავს.

ღღეს მე ბევრი საქმე მელოდება:
წავშლი სულში მოგონების კვადს.
და როდესაც გული გაქვავდება,
მე სიცოცხლეს გამოვუღებ კარს.

თუ არა და... ვიცი რაც მოხდება:
ფანჯრის მიღმა ზეიმს მოვკრავ თვალს,
და ზაფხულის ცხელი ნიავიც კი
ვერ. გაათბობს მიტოვებულ სახლს.





* * *


В мире много тоски,
Но ничто не сравнится, поверьте,
С тяжелой болью разлук,
С неизбежностью горя и смерти.
Небеса и земля
Необъятны, но тоже не вечны.
Только скорбь и печаль,
Только скорбь и печаль бесконечны.

Из старых китайских повестей

* * *

სევდას ქვეყნად რა გამოღევს,
მაგრამ რას შევადარო,
სიკვდილის და განშორების
მძიმე დარდი უსაზღვრო?
ცა და მიწა უსასრულო,
ოდესმე ხომ გაქრება,
მხოლოდ სევდა, მხოლოდ გლოვა
არასოდეს ჩაქრება.

ძველი ჩინური მონათხრობიდან





Жак Превьер

ГОРЕЧЬ ЗАВТРАКА

Он отсыпал кофе в чашку
Он налил молоко в чашку с кофе
Он подсластил горечь кофе сахаром
И перемешал все это маленькой ложечкой
Он выпил остывший кофе с молоком
Залпом осушив всю чашку
Так и не заговорив со мной
Он закурил сигарету
Следя глазами за колечками дыма
Он стряхнул пепел в пепельницу
Так и не заговорив со мной
Так и не взглянув на меня
Он встал
Он надел свою шляпу
Он надел плащ
Потому что шел дождь
И он ушел
Под дождь
Так и не сказав мне ни единого слова
Даже не взглянув на меня
А я осталась одна
Охватив голову руками
И мне ничего не осталось
Кроме моих слез

Перевод с французского



ვახშმის მწარე გემო

მან ფინჯანში ჩაიყარა ყავა
ყავიან ფინჯანში ჩაასხა რძე
მწარე ყავა დაატკბო შაქრით
მერე მოურია ყავას პატარა კოვზით
დაღია გაციებული რძიანი ყავა ისე
რომ ერთი მოსმით დაცალა ფინჯანი
ისე რომ არც კი დამლაპარაკებია
მან მოუკიდა სიგარეტს
და თვალს ადევნებდა კვამლის რგოლებს
ჩააფერფლა საფერფლეში
ისე რომ არც კი დამლაპარაკებია
ისე რომ არც კი შეუხედავს ჩემთვის
ის ადგა
დაიხურა თავისი ქუდი
მერე ჩაიცვა საწვიმარი
იმიტომ რომ გარეთ წვიმდა
და ის წავიდა წვიმაში
ისე რომ ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ
ერთი სიტყვაც კი არ გაიმეტა
მე კი დავრჩი მარტო
და თავი ჩავრგე ხელებში
რაკი აღარაფერი დამრჩენია
ჩემი ცრემლების გარდა

თარგმნა ფრანგულიდან გ.ქეპურიამ



ЯПОНСКАЯ ПОЭЗИЯ

იაპონური პოეზია

Даесо

И поля, и горы –
Снег тихонько все украл...
Сразу стало пусто!

დაესო

* * *

ღამით, თითქოს მოიპარა თოვლმა მთა და ბარი, –
ირგვლივ სიცარიელეა და სიჩუმის ზარი...

Ёсано Тэккан



* * *


О, если даже дикая трава,
Растущая в забвеньи на полях
Заговорить могла,
То сколько слез бы пролилось тогда
И сколько песен прозвучало!

იოსანო ტეკკანი

* * *

თუნდაც უენო ბალახს,
სადღაც მინდორში გადავიწყებულს,
ხმის ამოდება რომ შესძლებოდა,
რამდენი ცრემლი დაიდურებოდა,
ანდა სიმღერა გაჟღერდებოდა.





Исикава Такубоку

* * *

Сердце мое, ты опять
Втайне плакать готово!
Все друзья мои разбрелись,
Каждый своей дорогой.

ისიკავა ტაკუბოკუ

* * *

გულო ჩემო, ცრემლიანო,
როგორ უძლებ ამდენ დარდს?
დავრჩი ობლად. მეგობრები
ყველა გაჰყვა თავის გზას...


* * *

Я в шутку мать на спину посадил,
Но так она была легка,
Что я не мог без слез и трех шагов пройти!

* * *

დედა ხუმრობით მხრებზე შევისვი,
მაგრამ ცრემლებმა გზა დამიფარა, –
მსუბუქი იყო, როგორც ფარვანა...





Исса

* * *

Дерево – на сруб...
А птицы беззаботно
Гнездышко там вьют!

ისსა

* * *

ჩიტებს ბუდე მოუწყვიათ ხეზე უდარდელად,
ის კი გამზადებულია უკვე მოსატრელად...

* * *

Верно, в прежней жизни,
Ты сестрой моей была,
Грустная кукушка...

* * *

შენ ისე ხარ მოწყენილი,
ჩემო გუგულო,
თითქოს და იყავი ჩემი წინა ცხოვრებაში...

Рапран


* * *


Осенний дождь во мгле!
Нет, не ко мне – к соседу
Зонт прошелестел...

რაპრანი

* * *

ცრის ღამეში შემოდგომის წვიმა.
მეზობელთან – განა ჩემთან, -
ქოლგამ გაიმორიდალ...





Ёсано Акико

* * *

Хорошо это или грех,
Ты спроси у тех, кто остались
На том берегу, позади.
А я вперед, без оглядки,
На крыльях бури лечу.

ოსსანო აკიკო

* * *

ცოდვას ჩავდივარ მე, თუ სიკეთეს,
ეს, ალბათ, იმათ ეცოდინებათ,
ვინც ნაპირზეა.
მე კი ქარიშხლის
ფრთებით მივფრინავ ბედის იმედად...

Неизвестный автор


Перед казнью


Я сейчас дослушаю
В мире мертвых до конца
Песнь твою, кукушка.

უცნობი ავტორი

სიკვდილით დასჯის წინ

მალე, მალე დასრულდება
სულთა სამეფოში,
შენი სიმღერა, გუგულო...





საიგე-ხოსი

* * *

О, если б ты в селенье дальнем
Взглянула б, как и я, сегодня на луну.
Ты знала б, –
В одиночестве печальном
Люблю я до сих пор тебя одну!

საიგე-ხოსი

* * *

ჩემგან შორსა ხარ, მე კი ვარ მარტო.
ვუყურებ მოვარეს, მონატრებული.
შენც რომ შეხედო,
მიხედები, ალბათ,
მხოლოდ შენში ვარ შეყვარებული...

* * *

Так тяжело было мне и так душой устал,
Что в тягость был мне мир, пустой и бранный.
Но появилась ты –
И он желанным стал,
И жалко мне расстаться со вселенной!

* * *

ისე მიმიძიდა, სულით გადაღლილს,
რომ შევიძულე წუთისოფელი.
მაგრამ გამოჩნდი და მხოლოდ შენით
გახდა სიცოცხლე კვლავ სასურველი!



Заур Квижинадзе (Тихон Влади)

НИНЕ – ПРОСВЕТИТЕЛЬНИЦЕ ГРУЗИИ

Равноапостольная Нина!
Когда ты в Грузию пришла,
Как драгоценную святыню,
Ты крест с собою принесла.

И в том кресте великой веры,
Сплетенном из лозы простой,
Скрыт символ величайшей эры,
Открытой нам самим Христом...

Живет Иверия родная
Тобой начертанной судьбой,
Любя тебя и почитая,
Навек крещенная тобой!

ზაურ კვიჯინაძე (ტიხონ ვლადი)

წმინდა ნინოს – ქართველთა გამანათლებელს

მოციქულთსწორო, წმინდაო ნინო,
ნეტავ სამშობლო გადაგვირჩინო.
შენ საქართველოს ახარე ჯვარი,
განძი ძვირფასი და სანუკვარი.

ჯვარზე ვაზია შემოხვეული,
ჯიში ქართული, ღვთით კურთხეული,
დასაბამი ხარ ახალ დროების,
ქრისტეს რწმენისა და სათნოების.

გეთაყვანება ქართველთა ერი,
მარად ხარ მისთვის ფეხბედნიერი.
ღმერთო, უკვდავყავ ჩემი ოცნება:
ენა, მამული, სარწმუნოება!



СЕРГЕЙ СУРГУЧЕВ



Стихи рождаются, как взрыв...



*Пришли мы из небытия,
В небытие уйдем...*

Г.К.

Стихи рождаются, как взрыв,
Такое дело,
Как будто снежная метель
В окно влетела,
И, расшвыряв все по углам
В лихую ночь
Упали вдруг ко мне в окно
За строчкой строчка.

И стоит выглянуть им в мир,
Чуть – чуть смущаясь,
Как до меня им дела нет,
Я извиняюсь.
Кто бабочкою час живет,
Кто дни, кто годы,
Свои законы у стихов,
Свои невзгоды.









Когда про клен читаю я
Обледенелый,
Такая зависть сердце рвет,
Ломает тело,
Ведь написать и я так мог,
Слова все те же,
А у меня — сплошной сумбур,
И ухо режет.

Простите, гении, меня
За эти строчки,
За рифмы скомканный размер,
Не к месту точки,
За эту всю пургу из слов,
Что налетела,
Ведь родились стихи, как взрыв,
Такое дело

P.S.

Надежда многих подводила,,
Но мы берем её с собой,
Чтоб нас она не разлюбила,
Когда придем мы в мир иной!





იმპროვიზაცია ს.სურგუჩოვის (თაყაიშვილის) ლექსზე


* * *


ლექსი ზოგჯერ ქარიშხალში
თოვლის ცეკვას მაგონებს:
აფეთქდება და დამიყრის
თეთრ ფურცლებზე სტრიქონებს.

ფანჯარა თუ ღია დამრჩა,
ისე გამიფრინდება,
თითქოს უკვე აღარ მიცნობს,
ქარს ხალისით მიყვება.


ზოგი ლექსი დიდხანს ცოცხლობს,
ზოგი ქრება ღამეში:
უდარდელად დაფარფატებს
უცხო არემარეში.

ვენაცვალე ყველა პოეტს,
ზეცაში, რომ ნავარდობს.
ნეტავ ასე რატომ ვერ ვწერ,
მუხა რად არ მკარნახობს?







როგორ მოდის, ან სად მიდის,
ვისი მოგონილია?
ლექსი, როგორც თოვლის ფიფქი,
ზეცის შვილობილია.





ქარბუქივით აფეთქდება
და დამაყრის სტრიქონებს,
ლექსი ასე იბადება,
როცა შენ მოგიგონებს...



მაპატიეთ პოეტებო:
არავის შევედრები,
მაგრამ რა ვქნა, მეწერება:
მუზას ვერ შეველევი!





«ЕЩЕ НЕ ВЕЧЕР...»

Вы спускаетесь в бар,
вы садитесь у столика крайнего,
Чтоб потом незаметно,
для себя же, бесследно уйти.
Вам не хочется слов,
вы идете из рейса дальнего,
Вам до гавани надо
свой бокал, не разбив, донести.
С ним душевный настрой
обретает иное звучание.
В нем напиток волшебный
закодирован, словно тайник.
Стоит выпить его,
и вся жизнь приплывет на свиданье,
И доверчивым шепотом
вам про вас все расскажет двойник.
Вы увидите след,
уходящий в далекое прошлое,
Словно пена волны,
убежавшей, как жизнь, за кормой.
Вы столкнете за борт
все случайное, ветхое, пошлое,
Не оставив себе
ни греха, ни гроша за душой.
Но бокал уже пуст,
хоть вино продолжает движенье,
Разнося по углам
сердцу милые письма, слова.





Мы храним их всю жизнь,
как копилку святого волнения,
Как аквариум детства,
из которого слита вода.
Вы встряхнете душой,
отгоняя страниц наважденье,
Вы посмотрите в зал,
наливая напиток в бокал.
И случайно в него
попадет хрупкий миг наслажденья,
Вы увидите рядом,
столь знакомый, камеи овал.
Вы поймете тогда,
что напрасно тоскуете в гавани,
Что не штиля, а шторма
ждут ревнивой любви паруса,
Что пора выходить вам
навстречу ветрам, снова в плаванье,
И, подняв свой бокал,
вы посмотрите даме в глаза.
И в безмолвный ваш мир
вдруг ворвутся мелодии страстные,
И по палубе шаткой
затанцует интриги канва.
А в каюте у вас
оживут сновиденья прекрасные,
И продолжат свой спор
день и ночь... и огонь и вода.







დაღამებამდე ჯერ კიდევ დროა




თარგმანი ქეთევან ლომიძისა

განმარტოებულ მაგიდასთან
შეავსებო სასმისს,
არ გსურთ სიტყვები, მხოლოდ ღვინის
იდუმალება,
შორი გზა განვლეთ, გიხმობთ სანდო
ნავსაყუდელი,
მშვიდი ოცნება, ჭიქის ფსკერზე
რომ იმალება.
წარსული წლების მოგონებებს
უხმობს სასმელი,
ცხოვრებას თქვენსას ორეული
ჩურჩულით ყვება,
და აღარ გინდათ ტვირთი ძველი,
სულს რომ გიმძიმებო,
მიმავალ ტალღებს გაატანეთ
ცოდვათა ვნება.
ნებდებით ბახუსს, გულში სევდა
დაისადგურებს,
სათუთ ზმანებას ბავშვობისას
ეხდება ფარდა,
როგორც საგანძურს წრფელი გრძნობის
სულ რომ ვინახავო





და არ ვიტოვებთ მოგონებას
 სხვას, ამის გარდა.
 სასმისი ისევ შეივსება
 გრძნეული ღვინით,
 მიმოიხედავთ, მოიშორებთ
 ფიქრების თოვას
 და ათროლდებთ უცებ წამი,
 შემთხვევის მსხვერპლი,
 დაღანდავთ იქვე ასე ნაცნობ
 კამეის ოვალს.
 მიხვდებით, რომ ჯერ ტრფობის აფრა
 არ დაშვებულა,
 რომ ისევ დროა შეეჭიდოთ
 ქარებს გესლიანს,
 და მოგიხმობენ ქალის თვალთა
 ათინათები,
 სიჩუმეში რომ შეუძღვება
 ჰანგებს ვნებიანს.
 მიხვდებით, რომ ჯერ ზეცას ბინდი
 არ შეპარვია,
 რომ გააცოცხლა ქარიშხალმა
 მღუმარე ტალღა,
 წამოიშლება საოცარი



სიზმრების გუნდი,
 განაგრძობს კამათს დღე და ღამე
 ვნება და დაღლა.



Инга Гаручава

ДРУЗЬЯМ


Ушла и оглянулась — ну, пока,
До скорого, иль просто до свиданья.
Вы — в суете, а я уже дошла.
До пестрых радуг новых мирозданий.

Еще не знаю, хорошо ли мне,
Но точно вижу свет и отраженья
Тех, кого я любила на земле,
Их горести, печали и смятенья.

Но мне легко, иль кажется, что так.
Здесь странно, или это с непривычки?
Здесь есть фиорды, свой Исаакий, Ватикан,
Свой Петр и Павел, и свои привычки.

Здесь есть бумага, серая, простая,
И ручка есть, и ангела крыло.
Вы не горюйте. Скоро я предстану
Пред Ним. Все будет хорошо.

Записала Ирина Джорбенадзе в ночь
на 13 апреля 2013 года, на девятый день
после кончины Инги Гаручава...






ჩემს მეგობრებს

(წერილი საიქიოდან)

მივალ, მაგრამ თვალი მრჩება,
როგორ დაგემშვიდობოთ,
ნახვამდის თუ ჯერჯერობით?
შევხვდებით უპირაბოდ.
თქვენ მიწიერ დარღებში ხართ,
მე კი კარი შევადე:
ჩემი სული ზეცაშია,
ცისარტყელას ვეახლე.

საიქიო რა ყოფილა,
ჯერ ვერ გამოვიცანი,
მაგრამ ყველა, ვინც მიყვარდა,
მე აქ უკვე ვიცანი.
მე აქ თითქოს კარგადა ვარ,
ან იქნებ მეჩვენება:
ნორვეგიის ფიორდები,
ვატიკანის მშვენება.









წმინდანებიც აქ არიან,
ისააკის ტაძარიც,
ფრთაშესხმული ანგელოზი,
ქაღალდიც და კალამიც.
თქვენ ნუ დელავთ,
ყველაფერი მშვიდობით დასრულდება:
მაღლე უფლის წინ წარვსდგები
და სული დამშვიდდება...

2013 წლის 30 აპრილს ინგა გარუჩავა გარდაიცვალა.
მეცხრე დღეს, თითქოს ინგას კარნახით, ლექსი ჩაიწერა
ირინე ჯორბენაძემ. თარგმნა გ. ქებურიამ

*ფიორდები - ნორვეგიის სანაპირო ზოლისავეით
დამახასიათებელი რელიეფი. ინგას უყვარდა იმის თქმა,
რომ წინა ცხოვრებაში მას ინგებორგი ერქვა.

*ინგას ლექსში აქვს ეპიზოდი, როცა პოეტს
ესტუმრა ფრთადაჭრილი ანგელოზი, მან კი
ლექსებიდან გამოუჭრა ფრთები და
ფრთაშესხმული ანგელოზი დაუბრუნდა ზეცას.






მარინა შენგელია



სასუმარო ექსპრომტი

როგორ უცებ მომეპარე,
როგორ უცებ მაკოცე
და ასეთი საქციელით
ძალიან გამაოცე.

არც ისეთი პატარა ხარ,
არც ისეთი ჭაბუკი.
ამ ასაკში მოგიხდება,
შეიკავებ თავს თუკი!

მართალია, ბაბუა გყავს
ცნობილი და მფრინავი,
თუმც, შენსავით რომ აფრენდეს,
დამანახე, ვინ არის?





Ответ Марине Шенгелия Квитанция за поцелуй



Ты права, мой дед был первым,
В небе Грузии летал.
Я ж надеюсь не последний,
Кто тебя поцеловал.

Ты несорванная роза,
И с природой ты на ты,
Хотя есть в тебе и проза, –
Математики следы.


Я к тебе равнодушен,
Но тебя мне не догнать, –
Ты за две секунды можешь
Черепашку обежать.

Был бы жив мой дед великий,
Самолет бы одолжил,
От Тбилиси и до Риги,
Целовал бы и любил.

Мне б ты лекции читала,
Я б тебе стихи писал,
В облаках бы ты летала,
Кто об этом не мечтал...



Но, увы, у нас в активе
Лишь один мой поцелуй,
Да и тот уже в архиве,
Так что больше не балуй.



დ.გ.



ეს იერი დედოფლისა,
შენი ხმაც ნამდვილია,
დანარჩენი ყველაფერი
ჩემი მოგონილია.

Гугули Кебурия

В АЛЬБОМ Д.Г.

В профиль – римская камея,
Голос – рай земной.
Но, увы, все остальное
Выдумано мной.





Здравствуй!



Я тебе, столь недоступной,
 верен каждый миг.
Но, увы, никто не слышит
 молчаливый крик.
Где – то, кто – то, для кого – то
 сочиняет стих, –
Жажда жизни, страсть и время
 подгоняют их.



Прощай!

На душе ни дуновенья,
Ветер страсти стих.
Ждет минуты вдохновенья
Позабывтый стих.

P.S.

Ты песнь неспетая моя.
Ты мной не сказанное слово.





Генрих Гейне

* * *

О, если ты станешь моей женой,
Тебе позавидуют всюду.
Ты радость и счастье узнаешь со мной,
И денег жалеть я не буду.

Ты можешь пилить меня – буду я тих,
Взорвешься – останусь я нежен,
Но если стихов не похвалишь моих,
Запомни – развод неизбежен.

ჰენრი ჰეინე

* * *

მე თუ შენ ცოლად შეგირთავ,
შეშურდება ყველა ქალს.
ყვავილებით ტახტს მოგირთავ,
გამყოფებ, ვით დედოფალს.

თუ იმედებს გამიცრუებ,
გაპატიებ ყველაფერს,
მაგრამ ლექსს თუ დამიწუნებ,
გაგეყრები იმავ დღეს.





Игорь Аглицкий


Жизнь в 100 словах

Колыбель. Пеленки. Плач.
Слово. Шаг. Простуда. Врач.
Беготня. Игрушки. Брат.
Двор. Качели. Детский сад.

Школа. Двойка. Тройка. Пять.
Мяч. Подножка. Гипс. Кровать.
Драка. Кровь. Разбитый нос.
Двор. Друзья. Тусовка. Форс.

Институт. Весна. Кусты.
Лето. Сессия. Хвосты.
Пиво. Водка. Джин со льдом.
Кофе. Сессия. Диплом .

Романтизм. Любовь. Звезда.
Руки. Губы. Ночь без сна.
Свадьба. Теща. Тесть. Капкан.
Ссора. Клуб. Друзья. Стакан.





Дом. Работа.
Дом. Семья.
Солнце. Лето.
Снег. Зима.

Сын. Пеленки. Колыбель
Стресс. Любовьница. Постель.
Бизнес. Деньги. План. Аврал.
Телевизор. Сериал.



Дача. Вишни. Кабачки.
Седина. Мигрень. Очки.
Внук. Пеленки. Колыбель.
Стресс. Давление. Постель
Сердце. Почки. Кости. Врач.



Речи. Гроб. Прощанье. Плач.—



იმპროვიზაცია იგორ
აგლიცკის ლექსზე
სიცოცხლის ასი ნიშანი

სამშობიარო. ტირილი.
აკვანი. დედა. ღიმილი.
სიტვა. ნაბიჯი. სირბილი.
ბალი. თამაში. სიცილი.
ხველა. ექიმი. წამლები.
მამა. მამიდა. ზღაპრები.
ეზო. ფეხბურთი. ჩხუბები.
სკოლა. ორები. ხუთები.
ქუჩა. შატალო. არები.
ბირჟა. ბიჭები. ბარები.
კინო. თეატრი. ლექსები.
სიგარეტი. სასმელები.
ბოლო ზარი. გამოცდები.
ინსტიტუტი. ოცნებები.
სესია. არდადეგები.
ბებო. რთველი. ჩურჩხელები.
დიპლომი. დისერტაცია.
მიტინგი. დემონსტრაცია.
ნაცნობობა. სამსახური.
ინტერნეტი. მობილური.





გაზაფხული. სიყვარული.
ქორწილი. ცეკვა ქართული.
სამშობიარო. ტყუპები.
ნათესაობა. სტუმრები.
ბიზნესი. ფული. წილები.
მეგობრები. ქეიფები.
სიმღერები. საყვარლები.
სიდედრი. საყვედურები.
არჩევნები. პარლამენტი.
გამოსვლები. რეგლამენტი.
კონკურენტები. სტრესები.
პენსია. მოგონებები.
შვილიშვილი. პამპერსები.
ზოოპარკი. ცხოველები.
სახლი. ნარდი. მეზობლები.
ჭადარა. გული. აბები.
შეტევა. შიში. ნემსები.
საავადმყოფო. ცრემლები.
პანაშვიდი. ყვავილები.
საფლავი. ჭირისუფლები.
ქელეხი. ღვინო. სიტყვები.



სიკვდილს ნუ შეუშინდები –
საიქიოში ბრუნდები!









Мария Петровых

* * *

Назначь мне свиданье на этом свете.
Назначь мне свиданье в двадцатом столетье.
Мне трудно дышать без твоей любви.
Вспомни меня, оглянись, позови!
Назначь мне свиданье в том городе южном,
Где ветры гоняли по взгорьям окружным,
Где море пленяло волной семицветной,
Где сердце не знало любви безответной.
Ты вспомни о первом свидании тайном,
Когда мы бродили вдвоем по окраинам,
Меж домиков тесных, по улочкам узким,
Где нам отвечали с акцентом нерусским.
Пейзажи и впрямь были бедны и жалки,
Но вспомни, что даже на мусорной свалке
Жестянки и склянки сверканьем алмазным,
Казалось, мечтали о чем — то прекрасном.
Тропинка все выше кружила над бездной...
Ты помнишь ли тот поцелуй поднебесный?..
Числа я не знаю, но с этого дня
Ты светом и воздухом стал для меня.
Пусть годы умчатся в круженье обратном
И встретимся мы в переулке Гранатном...







Назначь мне свиданье у нас на земле,
В твоём потаенном сердечном тепле.
Друг другу навстречу по – прежнему выйдем,
Пока ещё слышим, Пока ещё видим,
Пока ещё дышим, И я сквозь рыдания
Тебя заклинаю: назначь мне свиданье!
Назначь мне свиданье, хотя б на мгновенье,
На площади людной, под бурей осенней,
Мне трудно дышать, я молю о спасенье...
Хотя бы в последний мой смертный час
Назначь мне свиданье у синих глаз.

1953, Дубулты





მარინა პეტროვის



დამინიშნე პაემანი...



დამინიშნე პაემანი, შემხვდი ერთხელ მაინც,
მთელ სიცოცხლედ მიღირს შენთან, თუნდაც ერთი წამი.
გამიხსენე, მოიხედე, დამიძახე ჩქარა,
სიყვარულის ცეცხლს ვერ უშკლებ, ვიფერფლები, კმარა.

შენი ნახვა მინდა ისევ, იმ ქალაქში ზღვაზე,
სადაც ქარი ათამაშებს ტალღებს ფერად ცაზე..
გაიხსენე საიდუმლო შეხვედრები ჩვენი,
ვიწრო ქუჩებს მიჰყვებოდნენ ბედნიერი დღენი.

არემარე არ გეხიბლავდა თვალწარმტაცი ხედით,
ჩვენს შეკითხვებს პასუხობდნენ უცნაური ენით.
გზაზე შუშის ნატეხები მზეზე ჰგავდნენ ალმასს,
სიყვარულს თუ შენატროდნენ, უღალატოს, ხალასს.

მთის ბილიკით, დახვეულით, ჩვენ ვიპყრობდით მწვერვალს,
და პირველი კოცნა ჩვენი ჰგავდა იმ თოვლს სპეტაკს..
მე არ მახსოვს რიცხვი, მაგრამ ვიცი რომ იმ დღიდან
შენ მინათებ დღით და ღამით, სიყვარულის მთიდან.








დამიბრუნე გაზაფხული, ღმერთო შემიბრაღე,
შემახვედრე ჩემს წარსულთან, სევდას უმკურნაღე,
დამინიშნე პაემანი ბროწეულის გზაზე,
სადაც სიყვარული ბუდობს, მზის სხივების კვალზე.

დამინიშნე პაემანი, ვიდრე ვსუნთქავ, ვხედავ,
ვიდრე შენთან შეხვედრაზე მე ოცნებას ვბედავ.
ეს ცრემლების წვიმა არის, გოდებაა ჩემი,
სიკვდილის წინ, ერთხელ მაინც, ნახვა მინდა შენი.

დამინიშნე პაემანი ნებისმიერ დროში,
ხალხით სავსე მოედანზე, თუნდაც უდაბნოში,
დამინიშნე პაემანი, შემხვდი ერთხელ მაინც,
მთელ სიცოცხლედ მიღირს შენთან, თუნდაც ერთი წამი.

ოღონდ მოდი, დამენახე, ჩემო საყვარელო,
ღურჯ თვალებთან შემახვედრე, ჩემო სანატრელო...









В тени Важа Пшавела

Если бы цветы не увядали,
Ароматы их не пропадали,
Вдохновенье нас не покидало,
На Пегасе в облаках витало,
Праздник жизни вечно продолжался,
Смертью никогда не омрачался,
Если б не было людей больных и нищих,
Потерявших веру в Бога, лишних.
В дружбе не случалось бы измены,
Не сходила бы любовь со сцены,
Если бы печаль не угнетала,
А добро всегда бы побеждало,
Если б райский сад нам часто снился,
На всю жизнь чудесный сон продлился,
Если б мир войной не разрушался,
Жизнью б мы тогда не дорожили,
И друг друга б люди не любили.
Всем такая жизнь бы надоела,
Жизнь сама бы смерти захотела...

ვაჟას ჩრდილში

ევაგილი რომ არ ჭკნებოდეს,
სურნელი არ ნელდებოდეს,
გულში ცეცხლი არ ქრებოდეს,
ლექსებად ფრთიანდებოდეს,





ავადმყოფი და მშვიერი
 სოფლად არ გვეგულებოდეს,
 ამ ქვეყნის დღესასწაულში
 სიკვდილი არ ერეოდეს.
 სიყვარულში და ძმობაში
 ღალატი არ არსებობდეს,
 სევდა არ გვეუფლებოდეს,
 ბედნიერება ზეობდეს.
 სამოთხე გვესიზმრებოდეს,
 სიზმარი არ თავდებოდეს.
 ვინ დააფასებს მშვიდობას,
 ომი რომ არ არსებობდეს,
 დაე, გვებრძოდეს ეშმაკი,
 სიკეთეს ემუქრებოდეს.
 ოღონდ დრო ნუ გაჩერდება,
 დღე-ღამე მეორდებოდეს.

სიცოცხლე ნუ მოგვებზრდება
 ღხინი არ დაიღლებოდეს.
 ოხერ ტიალი სიკვდილი,
 არასდროს მოგენატრებოდეს.

P.S.

შენ გენაცვალე სიკვდილო,
 სიცოცხლე შეენობს შენითა.

ვაჟა ფშაველ



Наталья Крандиевская
(Жена Алексея Толстого)

* * *

Небо называют — голубым,
Солнце называют — золотым,
Время называют — невозвратным,
Море называют — необъятным,
Называют женщину — любимой,
Называют смерть — неотвратимой,
Называют истины — святыми,
Называют страсти — роковыми.
Как же мне любовь свою назвать,
Чтобы ничего не повторять?

* * *

ცას ვადარებთ ფირუზისფერს,
მზეს ვადარებთ ოქროსფერს.
ზღვაზე ვამბობთ, უსაზღვროა,
დროს ვეძახით უღმობელს.
შეყვარებულს ვარქმევთ ტურფას,
სიკვდილს — უცილობელ ხვედრს.
ვალს ვეძახით — წმინდათ წმინდას,
ვნებას — ბედის განაჩენს.
რა დავარქვა ჩემს სიყვარულს,
რომ მოიცავს ყველაფერს?

ჩანახატები

ინდიგო ბავშვები

როცა შევითვქვე, რომ გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობისათვის ასაკი შეზღუდული არ არის, ერთმა იდეამ გამიელვა თავში:

გამომეწვია შეჯიბრში ჩემი შვილიშვილები, 9 წლის ნინუცა და 7 წლის ნატუკა. მე, ჩვეულებისამებრ, ვწერდი კალმით, ისინი კი თავიანთ ნოუთ-ბუქებს მიუსხდნენ.

ჯერ ჩემი ჩანაფიქრის ნახევარიც არ მქონდა დაწერილი, რომ ორივემ მომიტანა ამობეჭდილი მინიატურები. აი რას წერდა ნინუცა:

“30 დეკემბერი იყო. მთელი სოფელი ემზადებოდა ახალი წლის აღსანიშნავად. სახლში ყველას ედგა ნაძვის ხე. მხოლოდ ერთ ოჯახში არ ჰქონდა, რასაც ძალიან განიცდიდა პატარა ანი.

წავიდა იმ ოჯახის მამა ტყეში, ეძება, ეძება დიდხანს, მაგრამ ვერ იპოვა. ისეთი დაღლილი იყო, რომ ნახევრად გამხმარიც რომ ენახა, მაინც მოჭრიდა და სახლში მოიტანდა. პატარა, ჩურჩუტი ნაძვის ხე ნაწყენი იყო, რომ არავინ მოჭრა. ობოლი იყო, რადგანაც მამა შარშან მოჭრეს საახალწლოდ და დედა კი დარდისგან გახმა.

იგი სულ მარტო იყო და გვედით გულისხმიერი არვინ ჰყავდა, რომ ეკითხა: „როგორ ხარ?“, ან თუნდაც, უბრალოდ ეთქვა: “დილა მშვიდობისა!” კაცი, რომელიც ნაძვის ხეს ეძებდა, ჩამოჯდა მის სიხლოვეს ქვაზე, მაგრამ ვერ ამჩნევდა. ცოტა რომ დაისვენა, ადგა და დაღონებული, ხელცარიელი გაემურა სახლისკენ. უცებ გაახსენდა, რომ ნაჯახი დარჩა. ქვასთან დაბრუნდა და პატარა ნაძვი დაინახა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, ხე პატარა იყო თუ დიდი. იქვე მოჭრა და სახლში წაიღო. ნაძვს უკვე ჩასძინებოდა და მოჭრა ვერ იგრძნო. როცა გაიღვიძა, სასწაული დაინახა – ლამაზი

სათამაშოებით მორთული, თბილ ოთახში იდგა. გარშემო ბავშვები დარბოდნენ და მხიარულად მღეროდნენ. ნაძვის ხე ბედნიერი და მადლობელი იყო იმ ბავშვების, ვინც ასე გაალამაზა. ეგონა, იმ დღიდან სულ იმ სახლში იცხოვრებდა და აღარასოდეს შესცივდებოდა. როცა ახალი წელი დამთავრდა, ნაძვის ხეს ჯერ სათამაშოები ჩამოხსნეს, მერე კი ისევ ყინვაში, ეზოში გაიტანეს. როდესაც გახმა, სახლში შემოიტანეს და ბუხარში შეუკეთეს. ბავშვები ბუხართან ხელებს ითბობდნენ და ამბობდნენ: “რა კარგი სურნელი აქვს ნაძვის წიწვებს ცეცხლში!” ის კი არ იცოდნენ, რომ ნაძვი ემშვიდობებოდა მათ. სოფელში ყველას ეძინა და არავის უფიქრია იმაზე, რომ ტყეში აღარც ერთი ნაძვის ხე არ დარჩა“.

გაკვირვებულმა, ალერსით მოვეფერე ნინუცას, მაგრამ ნატუკამ არ მაცალა და, თითქოს იეჭვიანაო, გამომიწოდა თავისი ნაწერი. მე ხმამაღლა დავიწყე კითხვა.

„ერთ მკვნიერ დღეს, როდესაც მზის სხივებმა გააღვიძეს პატარა მამო, მას უცებ გაახსენდა, რომ იმ დღეს თოვლის ბაბუა უნდა მოსულიყო ახალი წლის მოსალოცად, მათ კი ნაძვის ხე არ ჰქონდათ.“

„მამიკო! რა გვეშველება? ნაძვის ხე რომ არ გვაქვს, თოვლის ბაბუას მოტანილი საჩუქრები სად ჩამოვკიდოთ?“

არა უშავს – უპასუხა მამამ, – მე ახლა წავალ ტყეში და მოგიჭრი ნაძვის ხეს“. დასაწყისი პლაგიატად მომეჩვენა და არ მესიამოვნა, მაგრამ საბედნიეროდ, თავი შევიკავე. „– არა მამიკო, არ მოჭრა ნაძვის ხე. მეცოდება. შენ თუ მოჭრი, ის ხომ ვეღარ გაიზრდება, გალამაზდება, ეყოლება შვილები, მეგობრები, დაამშვენებს ტყეს. მოდი, ჩიჩილაკით აღვნიშნოთ ახალი წელი“. – დაასრულა თავისი მინიატურა ნატუკამ. მე ხელი ჩამოვართვი ჩემს ინდიგო ბავშვებს, მივულოცე გამარჯვება და ჩვენ ერთად გავეშურეთ, რათა მე, როგორც წაგებულს, ნაყინზე დამეპატიჟა ისინი. უკეთესს ნამდვილად ვერაფერს დავწერდი და სიამოვნებით ვაღიარე ჩემი მარცხი...

სიყვარულის ფორმულა

ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექი. უნივერსიტეტში მეჩქარებოდა. როგორც იქნა, მოვიდა ჩემი მარშრუტი. წინა კარში ჯერ ჯოხი გამოჩნდა და შემდეგ კი ... ბეზიაჩემი. თვალებს არ ვუჯერებდი, ის ხომ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. უცებ ქალბატონს ჯოხი მოუსრიალდა, მაგრამ მე დაუფიქრებლად, წამში აღმოვჩნდი მის გვერდით და ხელი შევაშველე. უცნობმა ბეზიამ მაძლობა გადამიხადა და თავის გზას გაუყვა. ხმითაც კი საოცრად ჰგავდა ბეზიაჩემს. ავტობუსში აღარ ჩავჯექი. ვიდექი გაჩერებაზე და ლაპა-ლუპით ჩამომდიოდა ცრემლები.

ჩემი ბავშვობა გამახსენდა. სიყმაწვილეში, ერთხელ ვერ მოვზომე ჩემი ძალა და პუტკუნა ბიძაშვილის აწევა მოვინდომე სამბორბლიან ველოსიპედთან ერთად.

სადამოს ცუდად გავხდი და ბეზიაჩემმა სასწრაფოს გამოუძახა. თურმე ბრმა ნაწლავი გამხეთქვია და ჩირქმა ანთებითი პროცესი გამოიწვია. სასწრაფოდ აპენდიციტის ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ პერიტონიტის ჩაქრობა არ ხერხდებოდა. უკვე მესამე თვე იყო ოპერაციის დღიდან გასული. საჭმელსაც ვერ ვჭამდი: გლუკოზის ნემსებს მიკეთებდნენ. ონკანის წყალი მენატრებოდა, ადუღებულს ვეღარ ვიტანდი. ამ სამი თვის განმავლობაში, რამდენჯერაც გავახილე თვალი, ბეზიაჩემს ვხედავდი. არცერთი წუთით არ მტოვებდა მართო. ერთხელაც შევევედრე: „ჩემ თავს გაფიცებ, ერთი კოვზი ონკანის ცივი წყალი დამალევინე. თუ სიკვდილი მიწერია, მაინც ვერ გადვურჩები–თქო“. ბებომ პირჯვარი გადაიწერა და თავისთვის წამოიძახა: “თუ ამ ბავშვს სიცოცხლე უწერია, ისევ ჩემი ხელი თუ გადაარჩენსო“, და ერთი სუფრის კოვზი ცივი წყალი დამალევინა. არ

ვიცი, იმ წყალმა მიშველა, თუ ბებიაჩემის ლოცვამ, მაგრამ იმ დღიდან გამოვკეთდი და სულ მალე საავადმყოფოდან სახლში გამოწერა დამიპირეს. მახსოვს, იმ დღეს, ამ სასიხარულო ამბის გაგონებაზე, მამაჩემმა და ბებიამ ცეკვა დაიწყეს. უცებ ბებიას ხალათის ჯიბიდან რაღაცა გადმოუვარდა. მამაჩემმა აიღო იატაკიდან, დახედა და ფერი წაუვიდა. გაოგნებულმა ჰკითხა ბებოს: – „ეს რად გინდაო?“ ბებომ კი აუღელვებლად, მშვიდად უპასუხა: – „ხომ იცი, ეს რომ არ გადარჩენილიყო, მე ერთ წუთსაც არ ვიცოცხლებდიო“.

იმ დღიდან სამუდამოდ ჩამრჩა გულში სიყვარულის ფორმულა: ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ერთ ადამიანს უყვარს მეორე საკუთარ თავზე უფრო მეტად. დანარჩენი კი მხოლოდ ბილიკებია მწვერვალისაკენ...

ველოსიპედი

კვალის ქუჩა რუსთაველის გამზირის პარალელურად იყო განლაგებული და გერცენის და ძნელადის ქუჩებით ბიჭებს გვიყვარდა ველოსიპედით შემოჭრა დაღმართზე გაქანებით ჩვენს მშვიდ, მოკლე ქუჩაზე. იმ დროს არ იყო ასეთი განუწყვეტელი მოძრაობა, როგორც ახლას და უბნის ბიჭები თავისუფლად ვახერხებდით ფეხბურთის, ლახტის თუ სხვა თამაშების მოწყობას. მხოლოდ ბებიაჩემის ავტორიტეტი თუ შეგვაწყვეტინებდა თამაშს. თითქოსდა ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ დიდიც და პატარაც სიამოვნებით ემორჩილებოდა მას. ალბათ გრძნობდნენ, რა სიყვარული იყო ჩაქსოვილი მის სიმკაცრეში. მე უკვე იმ ასაკში ვიყავი, როცა სადამოობით რუსთაველზე „ვბირჟაობდი“ ძმაკაცებთან ერთად. პირველი სადღეგრძელოების, ახალ-ახალი სიმღერების და, რასაკვირველია, პირველი გატაცებების დრო დადგა. ამიტომაც სახლში დიდხანს ვერ ვჩერდებოდი და ბებოს კი სულ ვენატრებოდი. დღეს კი ძალიან ვნანობ იმას, რომ ყურადღება მოვაკელი, მაგრამ ნათქვამია: „ახალგაზრდობას რომ ცოდნოდა და სიბერეს რომ შესძლებოდაო“.

ერთხელ სადღაც ვქეიფობდი, როდესაც დამირეკეს და მითხრეს, რომ ბებიას ვიღაცა ველოსიპედით დაჯახებია და დაუშავებია.

სახლში ბებია ფეხზე დამხვდა: „არაფერია,“ მითხრა – თუმცა მთელი სახე ჩაშავებული ჰქონდა გემატომებისაგან. ქუჩის კუთხეში მდგარა, როდესაც დაღმართზე დაშვებულმა ველოსიპედისტმა მოსახვევში ვერ დაამუხრუჭა და მთელი ძალით დაეჯახა და გადაუარა მოხუცებულს.

საბედნიეროდ, ბებია მალე გამოჯანმრთელდა, მაგრამ

მე იმ ბიჭის ჯავრი ჩამრჩა. არავინ იცნობდა. უბნის ყველა ბიჭი ყურით მყავდა მოყვანილი ბებოსთან, მაგრამ ვერავინ ამოიცნო. უბნელებმაც, ეტყობა, პირი შეკრეს იმის შიშით, რომ ცოდვის ჩამდენი სასტიკად არ დამესაჯა.

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე წელი. ჩვენი უბნის ბელადი და ჩემი საყვარელი ბებო გარდაიცვალა. უამრავი ხალხი აცილებდა უკანასკნელ გზაზე. გასვენების დღეს ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა უცნობმა ახალგაზრდამ, რომლის თვალეებშიც ცრემლები შევნიშნე. მივედი და კვითხე, ვინ ბრძანდებოდა—თქო. სოფლიდან ჩამოსული ნათესავი მეგონა.

„ბავშვობაში სოფიო ბებოს ველოსიპედით დავეჯახე. მაშინ სოფლიდან არდადეგებზე ვიყავი ჩამოსული და ველოსიპედის ტარებას ვსწავლობდი. თქვენ ყურაწეული მიმიყვანეთ მაშინ ბებოსთან, მაგრამ არ გამთქვა. მე კი, თქვენი შიშით, დანაშაული ვერ ვაღიარე, თუმცა სულ მინდოდა მოსვლა მასთან და პატიების თხოვნა“.

„ბებიაჩემი ღვთისნიერი ქალი იყო, ახლაც ზეციდან მფარველი ანგელოზივით გვლოცავს“ – ვუპასუხე და გადავკოცნეთ ერთმანეთი.

ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი

(პიესა)

ჟანა და კოცონი

ისტორიული ფანტასმაგორია

*ემღვნება დიდმოწამე ჟანა დ'არკის დაბადებიდან
მეექვსასე წლისთავს*

მოქმედი პირები:

ჟანა დ'არკი

კოცონი

ტყეში შეჭრილი მდელო. განაპირას თივის ზვინი. შუაგულში ხმელი ტოტების გროვა. რიჟრაჟი. ისმის ჩიტების გალობა.

ტყიდან გამოდიან ფიჩხით დატვირთული ჟანა და კოცონი. ჟანა თეთრ ბალახონშია, თავზე აქვს ტირიფის წნელის გვირგვინი, მასში ჩაქსოვილი მინდვრის ყვავილებით. კოცონს აცვია გრძელი წითელი პერანგი და წითელი შარვალი. ერთიც და მეორეც დაჭრილია ზოლებად, რომლებიც ფრიალებენ სიარულის დროს და ქარის ყოველ მოძრაობაზე ჟანა და კოცონი ფიჩხს აყრიან ხმელი ტოტების გროვას.

ჟანა – ეყოფა თუ კიდევ დავამატო?

კოცონი – როგორც გინდა, ჩემთვის სულერთია.

ჟანა – დამატება ჯობია, ტოტები ნედლია და ცეცხლი უცებ არ მოეკიდება.

კოცონი – კოცონს ამის გამო ხელი არ შეეშლება.

ჟანა – შენ არა, და მე კი წამების წუთები გამიგრძელდება.

კოცონი – შეშას თუ ისე დაალაგებ, რომ ქვევიდან ჰაერი უბერავდეს, ნედლ ტოტებსაც მალე მოეკიდება ცეცხლი.

ჟანა – ჰოდა ეს მე კი არა, შენს ინკვიზიტორებს განუმარტე.

კოცონი – ტყუილად ღელავ, ისინი ამ საქმის დიდოსტატები არიან. თუმცა ზოგიერთი მათგანი ბოროტია და შეშას ისე აწყობს, რომ ცოდვილს წამების წუთები გაუგრძელოს.

ჟანა – მე ცოდვილი არა ვარ.

კოცონი – ვიცი. ბევრი გაღიარებს წმინდანად.

ჟანა – რა თქვი? წმინდანათო?

კოცონი – დიახ, წმინდა ორლეანელ ქალწულს გეძახიან.

ჟანა – თუ წმინდანად მიგაჩნევარ, მაშინ აქ რისთვისა ხარ? განა წმინდანებს წვავენ?

კოცონი – წვავენ, თანაც დიდი მონდომებით. თითქმის ყველას, ვისაც ხალხი წმინდანად აღიარებდა, ჯვარცმასა და ცეცხლის ალში ტანჯვას აზიარებდნენ.

ჟანა – სასაცილოა. შენ წმინდანებს ახსენებ, და ინკვიზიტორი კომონი შეჩვენებისას მიყვიროდა:” მოინანიე ცოდვები, კუდიანო, ეშმაკის ფეხო!” – მე კი არ ვწუწუნებ, მაგრამ სევდა მეუფლება და შიში მიპყრობს, როცა დავფიქრდები. შენ, კოცონო, ნუთუ არ გეშინია იმის, ჩემთან ერთად რომ დაიწვები?

კოცონი – ეს ჩემი სამუშაოა.

ჟანა – მე თუ ვინმეს წინაშე ვარ ცოდვილი, პირველ რიგში ეს ალბათ შენ ხარ. შენ ხომ ჩემს გამო დაიწვები.

კოცონი – ამას ტყუილად დარდობ. როდესაც მსაჯულმა გამოაცხადა:

“აუტოდაფე! დაწვით კუდიანი ჟანა დ’არკი!– მე გავიხარე.

ჟანა – მაშინ ბევრმა გაიხარა: მეფის კარისკაცებმა, ბურგუნდიელებმა, ინგლისელებმა. მე მათ ყელში ძვალივით გავეჩხირე. მაგრამ შენ რატომ გაიხარე? განა წმინდანი დასაწვავად არ გენანება?

კოცონი – მენანები, მაგრამ სჯობია ეს მე გავაკეთო, ვიდრე რაღაც უსულო რკინამ, ნაჯახმა.

ჟანა – ჩემზე რატომ არ ფიქრობ, იმაზე, რისი განცდაც მომიწევს? ნაჯახი ერთი დარტყმით შესწყვეტს ჩემს ტანჯვას.

კოცონი – აბა წარმოიდგინე სისხლი და ტალახი. ჯალათი მოკვეთილ თავს თმით დაითრევს, ბრბოს აჩვენებს და მერე კალათში გადააგდებს. ასეთი გინდა რომ დარჩე ხალხის მეხსიერებაში?

ჟანა – შემზარავი სანახაობაა.

კოცონი – მე ჯერ სხეულზე არაფერი მითქვამს. წარმომიდგენია, ჭიებს რა ზეიმი ექნებათ.

ჟანა – გეყოფა, ნულარ გააგრძელებ!

კოცონი – კოცონი თუნდაც იმით სჯობს, რომ ცოდვის ერთი პატარა ლაქაც რომ გქონდეს, პირწმინდად მოსპობს. ცეცხლი ყველაფერს ასუფთავებს. მგონი გაგიმართლა.

ჟანა – ჩვენ ორივეს გაგვიმართლა. აბა ვინ ვართ ჩვენ ერთმანეთის გარეშე? რას წარმოვადგენთ? არაფერს. მე უბრალო სოფლელი გოგო ვარ, შენ კი მხოლოდ შეშის გროვა. ჩემი ძვლები და შენი ტოტები უბრალოდ მიწაში დალპებოდნენ. ისე კი...

კოცონი – ჩემგან დარჩენილი ნაცარი წმინდა ჟანას ფერფლში აირევა და ქარი მოჰფენს მთელ ქვეყანას. ეს არის და ეს.

ჟანა – არა, შენ ყველაფერი არ იცი. მე ხმა ჩამესმა. ის ხმა კი არა, რომლის შესახებაც მეკითხებოდნენ მსაჯულები. ეს ჩემი შინაგანი ხმა იყო, რომელსაც ჩემთვის არასდროს უღალატია. შინაგანმა ხმამ ჩამძახა, რომ მე და შენ, კოცონო, მარადიულ ცეცხლში დავიწვებით. იცი თუ არა შენ, რა არის მარადიულობა?

კოცონი – ის, რაც უსასრულოდ დიდხანს გრძელდება და არასდროს თავდება..

ჟანა – ჩვენ ვერ ჩაგვაქრობს ვერც მსოფლიო წარღვნა, ვერც ადამიანთა ვერაგობა და უმეცრება, მაგრამ ამისთვის

მსხვერპლი უნდა გავიღო. ამბობენ, რომ პირველი წუთები განსაკუთრებით მტკივნეულია. მაგრამ, თუ შენ სწრაფად ააღდე, ჩემი ტანჯვა მალე დამთავრდება და ჩვენ მარადისობას ვეზიარებით. ჩვენზე ლეგენდებს შეთხზავენ, დაიწერება წიგნები, მენესტრელები ბალადებს შექმნიან და ვინ იცის, რამდენი ტყუილი ითქმევა მემატიანეების მიერ. დაე მოიტყუონ, სიმართლე დღეს არავის სჭირდება. იგი ხელს უშლის მშვიდად ცხოვრებას.

კოცონი – ყველამ რომ სიმართლის თქმა დაიწყოს, ამდენ ერეტიკოსს რა დაწვავს?

ჟანა – შენ ნუ ღელავ, ინკვიზიცია მონახავს გამოსავალს. ნაჯახებს აამუშავებენ, თუ ისინიც არ ეყოფათ, ზღვაში ჩაახრჩობენ. ზღვა ყველა ერეტიკოსს დაიტევს. ჩუმიად ყოფნა და მშვიდად ცხოვრება სჯობია.

კოცონი – მერე და ენას კბილი ვერ დააჭირე?

ჟანა – განა არ ვიყავი ჩუმად, ცხვარს ვმწყემსავდი, დამჯერი შვილი ვიყავი, ვიდრე ხმა არ ჩამესმა.

კოცონი – უნდა წაგეყრუებინა .

ჟანა – შენ ხომ არ გაგიჟდი! თვით მთავარანგელოზი მიქაელი მესაუბრებოდა და მე კი ყური დამეხშო?

კოცონი – დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად მთავარანგელოზი მიქაელი იყო?

ჟანა – შენ რა ინკვიზიტორებივით ლაპარაკობ? ისინიც ზუსტად ამას მეკითხებოდნენ: „რა იცი, რომ ეს მიქაელი იყო? რომელ ენაზე გელაპარაკებოდა?“... მე ის

ფრანგულად მელაპარაკებოდა. ციდან დაშვებული თეთრი ღრუბელიდან გადმოვიდა და მითხრა: “ჟანა, შენ ღვთის ნებით სხვა გზას უნდა დაადგე და სასწაულები მოახდინო, რადგანაც შენ აგირჩია უფალმა მეფე კარლოსის დასაცავად.” შევასრულე, დავიცავი და ჯილდოდ კი კოცონი მივიღე.

კოცონი – მე რას მერჩი? მე მხოლოდ ბრძანებების შემსრულებელი ვარ.

ჟანა – თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ! ჯერ საშინელებებს სჩადიხართ და მერე თავს იმართლებთ.

კოცონი – მე მხოლოდ კოცონი ვარ და სხვა არაფერი. ცეცხლის გარეშე ვერ ვიარსებებ.

ჟანა – შენ მხოლოდ კოცონი კი არა, თქვენი აღმატებულება ბატონი კოცონი ბრძანდები, სპეციალური კოცონი წმინდანთათვის, უმანკოთათვის, ურჩთათვის და მიუღებელთათვის... ააღდი, ააღდი, თქვენო აღმატებულება!

კოცონი – რომ შემძლებოდა, სულ სხვა ბედს ავირჩევდი.

ჟანა – ნუ მაცინებ.

კოცონი – ჩემს ცეცხლზე შეიძლება წყლის ადუღება, სადილის მომზადება მშიერთა დასაპურებლად, ბატკნის შეწვა...

ჟანა – დიახ, შეწვაში შენ ვერავინ შეგედრება. დღეს შენ სიამოვნებით შემწვავ ბატკნის ნაცვლად ხომ ამზობდი, გაიხარე, როცა გაიგე, რომ ჩემი თავი გხვდა წილად! შე ინკვიზიტორების გომიავ!

ნაწყენი კოცონი განზე გადის და იწყებს ფიჩხის შეგროვებას. ჟანა ამოარჩევს გროვიდან ერთ ტოტს და შორს მოისვრის.

ჟანა – ნედლი და დამპალი ტოტები ჩვენ არ გამოგვადგება. მათგან კოცონში მხოლოდ სიმყრალე და კვამლია, ჯობია ისევ ტყეში გააგრძელონ ლპობა. ჩვენ კი ისეთი ალი გვჭირდება, ცას რომ აღწევდეს. *(ზეცაში იყურება და ყვირის.)* ზეციური ანგელოზებო, ჩემს სულს რომ მოაკითხავთ, ფრთხილად იყავით, ფაქიზი ფრთები კოცონზე არ დაგეწვათ!

კოცონი – ინკვიზიტორებს თუ დავუჯერებთ, შენ სხვა ანგელოზები მოგაკითხავენ. მათ სამფლობელოში სულ სხვა კოცონი ანთია.

ჟანა – ვაი, თუ მე უკვე ჯოჯოხეთში ვარ და სხვები კი... მოსამართლეები, მეფე, ეპისკოპოსი – ჯოჯოხეთის მსახურნი არიან. რა სასაცილო იქნება! ისინი ჩემგან მონანიებას ელიან, მე კი მთელ მოედანზე, ხალხის გასაგონად ვამხელ მათ, სანამ შენ პირს არ დამიწვავ.

კოცონი აკვირდება ცას და ყურს უგდებს ქუხილის შორეულ ხმას.

კოცონი – ოღონდაც არ გაწვიმდეს. ძნელია წვიმაში ცეცხლის გაჩაღება.

ჟანა – ეგოისტი ყოფილხარ. მხოლოდ შენს თავზე ფიქრობ.

კოცონი – პირიქით, მე ხომ ორივეზე ვზრუნავ. რაც უფრო მალე დავიწვებით, მით უფრო მალე ავალთ ზეცაში.

ჟანა – რისთვის, უფალო! რა დაგიშავე, ორლეანელმა ქალწულმა? არავისთვის არაფერი დამიშავებია არც საქმით, არც სიტყვით არ არც ფიქრით. კი ბატონო, კაცის სამოსი მეცვა, ხმალი მეჭირა, მაგრამ არავინ მომიკლავს. და ომიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასი წლის წინ მე არ დამიწყია. ომი კი არ მჭირდებოდა, მე ფრანსუაზე ვოცნებობდი, მისი ცოლობა მინდოდა. ბევრ შვილს გავაჩენდი. სირცხვილით როგორ ვთქვა, მაგრამ თუ ის ჯვრისწერამდე შემიტყუებდა ტყეში და თუნდაც მხოლოდ ველური ჟინის დასაკმაყოფილებლად შემომახევდა კაბას და სიამოვნებით დავნებდებოდი. ნუ გამკიცხავ, კოცონო, ასეთ წუთებში ყველა ქალი ერთი და იგივეზე ფიქრობს.

კოცონი (იციან) – თუ იცის, კარლოსმა, რომ თავის მეფობას ერთ გამოუცდელ, მშობარა გლეხის ბიჭს უნდა უმადლოდეს რომელმაც ზაფხულის მზიან დღეს თივის ზვინში ვერ გაბედა ქალწულის ქალად გადაქცევა.

კოცონი აწყობს ტოტებს გროვაზე. ჟანა ჩიტების გალობას უსმენს.

ჟანა – თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩიტებო, გაწვიმდება თუ არა?

კოცონი – ამათ რას ეკითხები? წვიმაა თუ დარია, ყოველთვის მზიარულად გალობენ.

ჟანა – რა ბედნიერები არიან. მეც ხომ არ მემღერა, ცოტას გავმზიარულდებოდი. (მღერის.)

ვინ არის, რომ მთვარის შუქზე ჩუმად უკრავს სალამურს? ტყის მდელიოზე კურდღელია და უგალობს სიყვარულს.

მთვარის გული დაჭრილია, ვერას შველის უბედურს:
სიმღერა რომ დამთავრდება, ჭოტი შეჭამს განწირულს.

კოცონი მღერის ჟანასთან ერთად.

მთვარეს ცაზე ეტირება: – სიმღერა რომ დამთავრდება,
ჭოტი ხიდან აფრინდება, მსხვერპლი ვერსად გაექცევა,
ბედისწერა აღსრულდება, შეჭამს ჭოტი უბედურს.

ჟანა – საიდან იცი ეს სიმღერა?

კოცონი – ოდესღაც მე დიდი ხე ვიყავი და ვმეგობრობდი
ჭოტთან. მას ბუდე ჰქონდა ჩემს ტოტებში და საცო-
დავ კურდღლებს უზიდავდა თავის ბარტყებს.

ჟანა – მე კი ამ სიმღერას ბებია მიმღეროდა. გაშლიდა ხე-
ლებს და იქნევდა ფრთებივით, თანაც ყვიროდა: “
ჭოტი შეჭამს ბაჭიას, შეჭამს ბაჭიას!” მე კი, შეშინებუ-
ლი, კუთხეში ვიმალებოდი.

კოცონი (*ყნოსავს ჰაერს*) - კვამლის სუნი მცემს.

ჟანა – აი, დასრულდა ჩემი სიმღერა. ახლა უამრავი ჭოტი
მოფრინდება.

კოცონი – ეტყობა, სადღაც ბალახს წვავენ.

ჟანა – ჰო, ჯერ შენი ჯერი არ დამდგარა. ახლა რომ მოვუკი-
დოთ, დილისთვის მხოლოდ ნაკვერჩხალი დარჩება.
არა და ნაკვერჩხალზე სიკვდილი ვის გაუგია? მხო-
ლოდ ტერფებს თუ დაგიწვავს. მათი მორჩენა ჭაობის
ბალახით, მალამოთი შეიძლება. სულს კი რა ეშველე-
ბა, სულს რა განკურნავს? თუ მას არ სჭირდება გან-
კურნება?

კოცონი – სული უკვდავია!

ჟანა – სიცოცხლე მინდა, გათხოვება მინდა, შვილები!... არავისი არაფერი მმართვეს ამქვეყნად! გესმით? არავისი.

კოცონი – კარგ დროს გაგახსენდა. შვილებზე ადრე უნდა გეფიქრა.

ჟანა – როგორ გგონია, კოცონო, ფრანსუა მოვა იმის სანახავად, თუ როგორ გავეხვევი მე შენს ალში?

კოცონი – მოვა, აბა რას იზამს! დაიმალება ვინმეს ზურგს უკან და იქიდან უთვალთვალეებს, როგორ მომიკიდებს ცეცხლს ჯალათი, როგორ დაიწვება კუდიანის ბალახონი და ათასობით ადამიანი დაინახავს გაშიშვლებულ ქალწულს.

ჟანა – მიყურონ, მე არ მრცხვენია. შენც მიყურე, ფრანსუა, და დაიმახსოვრე ცეცხლმოკიდებული შენი ჟანა.

კოცონი – როდესაც ყველაფერი დამთავრდება, შენი ფრანსუა ამოიღებს კოცონიდან დამწვარ ძვალს და მეგობრებთან იტრაბახებს, რომ ოდესღაც ამ წვივის პატრონი ლამაზი გოგონა მას თივის ზვინში ჰყავდა მოხელთებული და ვნებიანად ეფერებოდა მის სხეულს.

ჟანა – დამიჯერე, კოცონო, რომ ნამდვილად ლამაზი სხეული მაქვს. ჩემი სხეულით თვით ტახტის მემკვიდრე კარლოსიც კი მოიხიბლა, თუმცა ლამაზი ქალები მას თავზე საყრელად ჰყავდა. ის რომ ბრძოლის ველზეც ისეთივე უშიშარი ყოფილიყო, როგორც ლოგინში, მე არ მომიხდებოდა ინგლისელებისაგან ორლეანის გათავისუფლება.

კოცონი – კარლოსმა შენ შიშველი გნახა?

ჟანა – ეს სრულიდ შემთხვევით მოხდა. ოღონდ შენ არ იფიქრო, რომ ჩვენს შორის რამე იყო. მე იოლანდა არაგონელმა მაიძულა გაშიშვლება.

კოცონი – რისთვის?

ჟანა – რომ არ გავშიშვლებულიყავი, ორლენის ციხე–სიმაგრეში დღესაც ინგლისელები იქნებოდნენ და კარლოსსაც არ დაადგამდნენ გვირგვინს რეიმსში.

კოცონი – და ეს ყველაფერი მხოლოდ შენი შიშველი სხეულის დამსახურებაა?

ჟანა – დიახაც, რომ არა ჩემი შიშველი სხეული, ტახტის მემკვიდრე კარლოსი უგვირგვინოდ დაბერდებოდა.

კოცონი – რაოდენ ღვთაებრივი სხეული უნდა გქონდეს, თუკი მან შეძლო საფრანგეთისათვის ორლენის დაბრუნება.

ჟანა – სხეული არაფერ შუაშია, მაგრამ არც უმაგისობაა.

წინასწარმეტყველებამ გადაწყვიტა ყველაფერი.

კოცონი – ისიც შენ სხეულს უკავშირდება?

ჟანა – უფრო სწორად, მის ნაწილს. როდესაც კაპიტანმა ბოდრიკურმა სასახლეში მიმიყვანა, კარლოსმა მკითხა: „ ვინ ხარ შენ?“. მე ვუპასუხე ისე, როგორც მთავარანგელოზმა მიქაელმა დამაბარა:“ ძვირფასო ტახტის მემკვიდრევ, მე ქალწული ჟანა მქვია და ჩემი პირით შენ თვით ზეციური უფალი მოგმართავს. ის გეუბნება, გაატანე ჯარი ქალწულს და რეიმსში მეფის გვირ-

გვინს დაგადგამენ. თქვენ გახდებით ზეციური მეფის მემკვიდრე და საფრანგეთის ჭეშმარიტი ხელმწიფე. ამის გაგონებაზე დიდი აყალმაყალი ატყდა. კარისკაცები დამცინოდნენ და სოფლის ფუფალას მეძახდნენ. ანჟუელმა იოლანდამ კი ბრძანა:

„კარლოს! წინასწარმეტყველებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთს დალუპავს ალი და გადაარჩენს ქალწული. არ ჩააბარო ჟანას ჯარი, ვიდრე მის ქალწულობაში არ დარწმუნდები“.

კოცონი – და კარლოსმა პირადად, როგორც მეანმა ქალმა, შეგამოწმა?

ჟანა – სისულეებს ნუ ამბობ! კარლოსმა კი არა, მონაზვნებმა. სირცხვილისაგან კინაღამ მოკვკვდი, როდესაც მათ გამაშიშვლეს და ბინძური თითებით მეხებოდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ ჩემს ქალიშვილობაში.

კოცონი – და კარლოსი სად იყო ამ დროს?

ჟანა – კარლოსი ფარდას ეფარებოდა და აცუნდრუკებული ბიჭივით მითვალთვალებდა.

კოცონი – უსირცხვილო!

ჟანა – შემდეგ ჩვენ დავბრუნდით დარბაზში და ანჟუელმა იოლანდამ საჯაროდ გამოაცხადა: „ჟანა დ'არკი ქალწულია!“. ამის გაგონებაზე კარისკაცებს სახის გამომეტყველება შეეცვალათ, კარლოსმა კი გამიყვანა გვერდზე და ჩვენ, კუთხეში მდგარნი, ცოტა ხანს ვჩურჩულებდით. კარისკაცები და ანჟუელი იოლანდა კვდებოდნენ ცნობისმოყვარეობით, მაგრამ ჩვენ საიდუმლო არავის გავანდეთ.

კოცონი – მემკვიდრემ ჩაგჩურჩულა: ჟანა, მე გნახე შიშველი. შენ ძალიან ლამაზი სხეული გაქვს.

ჟანა (დაბნეული) – დიახ...

კოცონი – შენ კი უპასუხე: „გრცხვენოდეთ, ტახტის მემკვიდრევ! შიშველი ქალიშვილების თვალთვალი ცოდვას...“

ჟანა – მართლაც, რომ ასე იყო, მაგრამ შენ საიდან გაიგე?

კოცონი– მე იქვე ახლოს ბუხარში ვიწვოდი.

ჟანა – თქვენ ხომ ადამიანი ვერსად დაგემალებათ, ერთნი გითვალთვალებენ, მეორენი გიყურადებენ.

კოცონი – კარლოსი არ იყო იმის ღირსი, რომ შენ ის მეფის გვირგვინით დაგეჯილდოვებინა.

ჟანა – განა შემეძლო მე მთავარანგელოზ მიქაელის ნება არ ამესრულებინა?

კოცონი – არავის სჯერა, რომ შენ მართლაც მოგესმა უფლის ხმა. გიჟად გთვლიან და ამბობენ, მთავარანგელოზი სიზმარში მოეჩვენაო.

ჟანა – იმასაც ამბობენ, რომ მე კუდიანი ვარ, და შენც გჯერა ამ ჭორების?

კოცონი – მჯერა თუ არ მჯერა, არავინ მეკითხება. მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ. რასაც მიბრძანებენ, იმას ვასრულებ. მეტყვიან, დაწვი, დაწვივავ.

ჟანა (ყვირის)– რაღას ელოდები, შემსრულებელო, მიდი ადასრულე ბრძანება! დილას რაღას ველოდებით?

წინასწარმეტყველება აღსრულდა, ორლენელმა ქალწულმა გადაარჩინა საფრანგეთი, გვირგვინმა იპოვა თავისი მეფე, და მორჩა, ჟანა აღარავის სჭირდება.

კოცონი – ჩვეულებრივი ამბავია. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი.

ჟანა – სამწუხაროდ მართალს ამბობ. მაშინ რეიმსში, მეფის კურთხევის დროს, მე თითქოს უცებ ამეხილა თვალი და დავინახე: ლალატი, უსამართლო სასამართლო... და შენც დავინახე, კოცონო.

კარლოსის თვალეზში შიში ამოვიკითხე, თუმცა რისი უნდა შემშინებოდა? ფრანსუასი მესმის, მას მდიდარი საცოლის დაკარგვის ეშინოდა. სასიამორო თავის ქალიშვილს მზითევეში დიდ ქონებას ატანდა. მეფე რაღას შეუშინდა? მე მას საფრანგეთის გვირგვინი უანგაროდ მივართვი და არც ცოლად მოყვანას ვითხოვდი. მადლობა მაინც ეთქვა, მაგრამ ესეც კი ვერ გაიმეტა.

კოცონი – კარლოსი ვერ გაპატიებდა შენ იმას, რომ საფრანგეთს შეუყვარდი.

ჟანა – რომ შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება, ყველა გამარჯვებას ერთი შვილის გაჩენაში გავცვლიდი! (ყვირის). ფრანსუა! ფრანსუა, მოდი ჩქარა, სადა ხარ? ჩვენ დილამდე დრო გვაქვს და ყველაფერს მოვასწრებთ.

კოცონი – სულ ტყუილად ყვირი. ფრანსუას არ ესმის შენი.

ჟანა – ვიცი, მას ეხლა ჩემთვის არ სცალია. გორაობს ლოგინშიდაუბანელ ცოლთან და ასეთივე ტურტლიან

ბავშვებს აკეთებს. ღმერთო! რა დავაშავე ასეთი? მეც მინდა მყავდეს ბავშვები. თუმცა ნუ მისმენ, მე ახლა ვცრობ. ეს მე კი არა, სულელი სოფლის გოგონა ნატრობს, რომელსაც ერთი ნეტარების წუთისთვის ყველაფრის დათმობა შეუძლია. არა, მე ასე იაფად არ გავიყიდები.

კოცონი – მე კი ამ ფასს გადავიხდიდი! წინასწარმეტყველება აღსრულდა. შენ რაც შეგეძლო, ყველაფერი გააკეთე, და ახლა კი დროა შენს თავზე იფიქრო.

ჟანა – უკვე გვიანია.

კოცონი – ხელისუფლებასთან საერთო ენის მონახვა ყოველთვის შეიძლება.

ჟანა – როგორ?

კოცონი – ხვალ, ვიდრე ჯალათი კოცონს შეუნთებს, ინკვიზიტორებს უთხარი ის, რაც მათ უნდათ შენგან გაიგონ.

ჟანა – განა ეს საკმარისია?

კოცონი – რაც მთავარია, გულამაჩუყებელი სიტყვები არ დაინანო. ბალაგანის ჯამბაზივით დაიშინე მუშტები გულში და სასოწარკვეთილი ყმუილით მოინანიე ცოდვები.

ჟანა – *(თავზე თმას იგლეჯს, ყვირის)*. ვინანიებ! ვინანიებ! თვით სატანამ შემაცდინა და მან მაქცია კუდიანად. თავის ჭკუაზე მატარებდა და რასაც უნდოდა, იმას მაკეთებინებდა. მე განვუდექი მას, ვუარყოფ ყველა მის ქმედებას. შემიწყალეთ! შემიბრალეთ! არ

დაწვით ცეცხლზე ჩემი ახალგაზრდა სხეული. (*უცებ მშვიდდება.*) ასე?

კოცონი – შეიძლება ასეც.

ჟანა – და სხვა ვარიანტები გამორიცხულია? ნუთუ ხმამაღალი სიტყვებისა და ცოდვების მონანიების გარეშე არ შეიძლება?

კოცონი – სხვა გზაც არსებობს.

ჟანა – აუტოდაფეს გარეშე?

კოცონი – არა, ცეცხლის გარეშე შეუძლებელია. დიდძალი ხალხი მოიყრის თავს იმის სანახავად, თუ როგორ დაიწვება ცეცხლზე მათი საყვარელი ჟანა.

ჟანა – აბა რას იზამ, მხოლოდ წელამდე დამწვავ?

კოცონი ახდის ბალახონს და თავზე ჩამოფარებს

კოცონი – ათასობით ადამიანმა თავისი თვალით უნდა ნახოს, თუ როგორ შემოატარებენ ჟანა დ'არკს მთელ ქალაქს წამოხდილი და სახეზე ჩამოფარებული ბალახონით. მერე კი ბოძზე მიაკრავენ და ცოცხლად დაწვავენ.

ჟანა (სახეს გამოაჩენს). – და სულ მთლიანად დავიწვები?

კოცონი – კუდიანი უნდა დაიწვას.

ჟანა – ...

კოცონი – რას მიყურებ? საფრანგეთი სავსეა კუდიანებით.

ჟანა – ჩემს ნაცვლად სხვას დაწვავენ?

კოცონი – ამის შესახებ გვეცოდინება მე, შენ და რამდენიმე ინკვიზიტორს.

ჟანა – კომონი ამაზე თანახმაა?

კოცონი – ზოგიერთ ინკვიზიტორს შენ წმინდანი ჰგონიხარ. (ცაში იყურება) წარმოგიდგენია, რა ღვთის რისხვა ელით მათ, კუდიანის ნაცვლად, შეცდომით, წმინდანს თუ დაწვავენ.

ჟანა – განაჩენის შეცვლა არ ურჩევნიათ? მე იმდენი დამსახურება მაქვს, რომ ამ გადაწყვეტილებას ხალხი გაგებით შეხვდება.

კოცონი – ეს ყოვლად დაუშვებელია, ეკლესია შეცდომებს არასდროს უშვებს. ის უპირველეს ყოვლისა თავის პრესტიჟის შენარჩუნებაზე იზრუნებს. ორლენელი ქალწულის ნაცვლად კოცონზე სხვა კუდიანი დაიწვევა.

ჟანა – ორლენელი ქალწული დაიწვევა. ჟანა დ'არკი კი ცოცხალი დარჩება.

კოცონი – უცხოეთში გადაგასახლებენ, სულ სხვა სახელით იცხოვრებ. არავინ უნდა იცოდეს, რომ შენ ცოცხალი ხარ.

ჟანა – გარდაცვლილ ჟანას ექნება დიდი ოჯახი, გარდაცვლილ ჟანას ეყოლება ბევრი შვილი, გარდაცვლილი ჟანა იცოცხლებს დიდხანს.

კოცონი – და ბედნიერად დაბერდება ახლობლების გარემოცვაში. შენ ხომ ჯერ მხოლოდ ცხრამეტი წლისა ხარ და ყველაფერი წინა გაქვს.

ჟანა (*ყვირის*) – დარაჯებო, სადა ხართ, დარაჯებო?

კოცონი – დარაჯები რაღაში გჭირდება?

ჟანა – სხვაგან გამიშალონ კოცონი. შენ, ეტყობა ჭკუიდან გადადექი. არ მინდა გადარეული კოცონის ალში ვიწვოდე.

კოცონი – დაცვა აქ არ არის. ჩვენ არავინ გვდარაჯობს. გაიქეცი, სანამ დროა.

კოცონი ამოიღებს პერანგის ქვეშ დამალულ გვირგვინს და ჟანას გადაუგდებას

კოცონი – ეს ჯართიც თან გაიყოლიე.

ჟანა *იჭერს გვირგვინს და ათვალიერებს.*

ჟანა – ეს უბრალო რკინა კი არ არის, ეს საფრანგეთის მეფის გვირგვინია, მაგრამ შენთან საიდან მოხვდა?

კოცონი – მოვიპარე. უფრო სწორად, გადავარჩინე. სასახლეში ხანძარი იყო, და მაშინ ბევრი ძვირფასი ნივთი დაიწვა. ვიფიქრე, ბარემ ამ რკინასაც გადავადნობ, მეთქი, მაგრამ მერე შემეცოდა.

ჟანა – მეფეს რა ბედი ეწია?

კოცონი – ცოცხალია შენი მშიშარა კარლოსი. განგაშის ხმა გაიგო თუ არა, პირველმა გამოასწრო სასახლიდან.

კოცონი გამოართმევს ჟანას გვირგვინს და თავზე დაადგამს.

კოცონი – ეს გვირგვინი წესით შენ გეკუთვნის.

ჟანა – შენც გსმენია ამის შესახებ?

კოცონი – მე მომსწრე გახლავარ შენი დიდგვაროვანი წარმოშობის ჩასახვისა, რადგანაც მაშინ მეფის სამინებელში სანთლად ვენთე.

ჟანა – ესეიგი სიმართალეა, რომ ორლეანელი ქალწული დედოფლის მრუშობის ნაყოფია? (*გვირგვინს თავზე ისწორებს*). სარკე რომ იყოს, ჩავიხედავდი...

კოცონი – ძალიან გიხდება. ის სავსებით სამართლიანად დაამშვენებდა შენს თავს. მხოლოდ შენი მონდომება იყო საჭირო.

ჟანა – ორლეანელი ჟანას დროშის ქვეშ ნახევარი საფრანგეთი იდგა. არა და რითი ვარ მე კარლოსზე ნაკლები, თუ ორივე ბოზანდარა დედოფალმა ისაბელამ გაგვაჩინა. ისიც ისეთივე ნაბიჭვარია, როგორც მე. დიახაც, ჩემო ძმაო, გვირგვინოსანთა შორისაც გვხვდებიან ხოლმე ასეთი კახპები.

კოცონი – (*იცინის.*) მეძავ ქალებზე უარესებიც გვხვდებიან ხოლმე. მეძავი თავის თუნდაც ნაბიჭვარს სხვას არ გაატანს. დედოფალმა კი ორლეანელ ლუდოვიკოსგან გაგაჩინა და მერე მიუგდო შენი თავი სოფელში გლეხის ქალს გასაზრდელად. ისე რომ, შენც და კარლოსიც წარმოშობით ერთი დიდგვაროვანთა სისხლისა ხართ.

ჟანა – რატომ გგონია, რომ სწორედ ჩემი ჩასახვა მოხდა დედოფლის სარეცელზე იმ დღეს, შენ რომ საწოლის

ახლოს სანთლად ენთე. დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც ამბობ?

კოცონი – დარწმუნებით არაფრის თქმა შეიძლება, მით უმეტეს, თუ საქმე დიდგვაროვნებს ეხება. მაგრამ გამორიცხული არ არის. აბა გაიხსენე შენი მშობლები, ძმები. ისინი მთელს ცხოვრებას ცხვრებისა და ცხენების მოვლაში ატარებენ. შენ კი მათ სულ არ გავხარ, სხვანაირი იერი გაქვს სხვანაირი თმა, სახე...

ჟანა – ჩვენ ყოველთვის ცუდად გვესმოდა ერთმანეთის. ისინი მიწას აკვირდებოდნენ, მე სულ ცაში ვიყურებოდი... თითქოს რაღაცას ველოდი, ვიცოდი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მომხდარიყო. და მოხდა კიდევ. ნიშანი მივიღე. ციდან დაეშვა თეთრი ღრუბელი, რომლიდანაც რაღაც წმინდა და გამჭვირვალე ხმა მომესმა. ის ირხეოდა, როგორც ჰაერი გვალვის დროს. შიშმა შემიპყრო და ადგილზე გამაქვავა. ვერც გავიქეცი, ვერც დავიყვირე. მუხლებზე დავემხე და თვალს ვერ ვახელდი. ღვთიური ხმა ხელით შემეხო, თმაზე ხელი გადამისვა და ყურში ჩამჩურჩულა: ჟანა, შვილო ჩემო, შენ ხარ საფრანგეთის გადამრჩენელი ქალწული ჟანა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მე თავში თითქოს გამინათდა. ერთ წამში ყველაფერი გასაგები გახდა ჩემთვის, დავინახე და დავიჯერე: მე ვარ ნამდვილად საფრანგეთის გადამრჩენელი, მე ეს კი არ მომეჩვენა, მე ამის შესახებ მთავარანგელოზ მიქაელის ხმამ მანიშნა. საფრანგეთი ქალმა დაღუპა და ქალწული გადაარჩენს.

კოცონი – უფალმა ამისთვის შენ აგირჩია.

ჟანა – საწყალი ადამიანები როგორ დამცინოდნენ, სოფლის ფუფალას მეძახდნენ. და ფრანსუა, ჩემი ფრანსუა კი ზუსტად იმ დროს დაქორწინდა, და მე ექვიანობა მახრჩობდა. მაშინ ჯერ კიდევ ქალი ვიყავი და დედათა წესიც მქონდა, მაგრამ მთავარანგელოზთან შეხვედრის შემდეგ ყველაფერი ქალური ამოშრა ჩემში. ღვთის მადლით მე უკვე აღარ ვიყავი ქალი. განა სწეული ცხენს გავაჭენებდი? *(კოცონში ტოტებს დაყრის.)* მაგრამ ვაჭენე, ვაჭენე და კისერიც მოვიტეხე. ნუთუ უფალმა ჩემზე უკეთესი ვერავინ ნახა?

კოცონი – საფრანგეთში უმანკო ქალწულის მოძებნა თვით უფალსაც გაუჭირდება.

ჟანა – მე მხოლოდ თორმეტისა ვიყავი, როდესაც პირველად გავიგე უფლის ხმა. მაშინ შიშისგან ჩავიფსი კიდევ. მერე უფრო ხშირად მესმოდა და თანდათან ვმშვიდდებოდი. ბოლოს დავიჯერე, რომ ეს წინასწარმეტყველება იყო.

კოცონი – ის თანდათან გამზადებდა შენ, ასეთი წინასწარმეტყველების შესრულება მხოლოდ წმინდანებს შეუძლიათ.

ჟანა – კაპიტან ბოდრიკურის დახმარებით მე ვერაფერს მივაღწევდი. ნუთუ ისიც უფალმა გამომიგზავნა?

კოცონი – ბოდრიკური თვითონ მოგეტმასნა. მას შენი მემკვიდრით უნდოდა თანამდებობის და წოდების მოპოვება და მეფის თვალსაწიერში მოხვედრა.

ჟანა – უშიშარი მეომარი და ამავედროულად გარყვნილი და უღმერთო ადამიანი იყო.

კოცონი – აი, ვინ უნდა იწვოდეს ჯოჯოხეთში. მე ჩემი ყურით მოვისმინე, რასაც ამბობდა ბოდრიკური. ჟანამ მართლა მოისმინა უფლის ხმა, თუ მოიგონა, სულ არ მაინტერესებს. მისი ხმები მე ჩემი მიზნებისთვის მჭირდება. მე მას მეომრად ვაქცევ, და ჩვენ ერთად დავარწმუნებთ ტახტის მემკვიდრე კარლოსს, რომ დომრემიელი ჟანა დ'არკი საფრანგეთის გადამრჩენელია.

ჟანა – ბოდრიკურმა მასწავლა მე იარაღის ხმარება. ხმალი საათობით მეჭირა ხელში და ორთაბრძოლის ხელოვნებას ვეუფლებოდი. მინდორ-ველზე ცხენს ვაჭენებელი და შუბის ტყორცნას ვსწავლობდი. რომელი ქალი გაუძლებდა ასეთ დატვირთვას? ბარძაყებზე ნაიარევი გამიჩნდა, ხელის გულები დაკოჟრილი მქონდა, დასანახად ველარ ვიტანდი კაპიტანს. სიამოვნებით ვტყორცნიდი მკერდში შუბს ან ისარს არბალეტიდან.

კოცონი – სამაგიეროდ, თავისას მიაღწია. შენ შესანიშნავი მეომარი გახდი.

ჟანა – ცხენი ჩემს დეზებს უკვე ემორჩილებოდა, და აღარც ხალხი დამცინოდა. და როდესაც საფრანგეთის გადამრჩენელი ქალწულის ამბავი მეფის კარამდე მივიდა, ბოდრიკურმა მითხრა: „ ჟანა, დროა ვეახლოთ ტახტის მემკვიდრეს შინონში. შენ ის მეფედ უნდა აქციო“. მე აღტაცებული და ბედნიერი ვიყავი. ვყვიროდი: ეი! ტახტის მემკვიდრევ! ჩვენ შენსკენ მოვაჭენებთ ცხენებს, მე და ჩემი მცირედი ჯარი, კაპიტანი, ორი პაჟი და ორი მეისრე.

კოცონი – და მე, კოცონი.

ჟანა – შენც იყავი ჩვენთან ერთად?

კოცონი – ღამღამობით თქვენ ჩემს ცეცხლთან თბებოდით, და დილით ის ხეპრე ბოდრიკური მაქრობდა თავისი მყრალი შარდით.

ჟანა – შენონამდე ჭენებ–ჭენებით ქარს გავუსწარი. სამასი მშიშარა რაინდი, სამასი გამოპრანჭული დიდგვაროვანი ბოზანდარა, სამასი ინკვიზიტორი და გამათხოვრებული ბერი დამხვდა სასახლეში. ტახტზე გაღიმებული კარლოსი იყო, ვიფიქრე: ვეახლები, მისალმებით პატივს მივაგებ–მეთქი, მაგრამ ხმამ ჩამჩურჩულა: „ ტახტზე კარლოსი კი არა, გადაცმული მასხარაა“. ტახტის მემკვიდრემ გამოცდა მომიწყოდა დასამალავად ხალხში გაერია, მაგრამ მე მაინც გამოვიცანი ის, მივედი და ვუთხარი: „შენ ტახტის მემკვიდრე კარლოსი ხარ, მე კი ქალწული ჟანა დ’არკი. მე მოვედი, რომ საფრანგეთის მეფის გვირგვინი დაგაღვა თავზე! კოცონო, თუ იცი შენ, რა არის ბედნიერება?

კოცონი – საბედნიეროდ არ ვიცი, არასდროს მღირსებია, ძალიან ძვირადღირებული ფუფუნებაა. მე კი ღარიბი ვარ. და ვერც ვერასდროს გავმდიდრდები, რადგანაც რაც ხელში მივარდება, ყველაფერი ფერფლად იქცევა.

ჟანა – იმ წუთში მე არ მიფიქრია იმაზე, თუ რის ფასად დამიჯდებოდა ბედნიერება. საფრანგეთის ბედი, ტახტის მემკვიდრე, კარისკაცების მთელი ხროვა მათი ინტრიგებითა და სიცრუით ჩემს ხელში იყო.

კოცონი – ეს არის ბედნიერება?

ჟანა – შენ რა გესმის ბედნიერების, შენ ხომ კოცონი ხარ და სხვა არაფერი. იმ წუთში ბედნიერი, ძალიან ბედნიერი ვიყავი. ნახევარი საფრანგეთი შეგროვდა მაშინ ჩემს სანახავად. ხელით მეხეობდნენ, რომ დარწმუნებულიყვნენ ჩემს რეალობაში. კარლოსმა დიდი წვეულება გამართა მუსიკით და მენესტრელების თანხლებით. მე ალანსონელი ჰერცოგი მომიახლოვდა და საცეკვაოდ გამიწვია. ვერ აგიღწერ, კოცონო, როგორ შემეშინდა. სოფლის გოგოებთან ერთად სალამურის ხმაზე გვეგონა, რომ კარგად ვცეკვავდით. აქ კი ცხენის ბრანდლი. ასეთი ცეკვის შესახებ მე არც კი მსმენია, მაგრამ არ შევიძმჩნე. ჰერცოგმა ხელი გამომიწოდა, და ჩვენ ბრენდლის ცეკვა დავიწყეთ.

ჟანა და კოცონი ბრენდლს ცეკვავენ.

ჟანა – ოდესმე წარმოვიდგენდი, რომ მომიწევდა თვით ალანსონელ ჟანთან ცეკვა? წელზე როცა მომხვია ხელი და საცეკვაოდ გამიყვანა, მუხლები კინალამ მომეკვეთა. ის ხომ ჩემი ოცნების კაცი იყო. მე მას ფრანსუაზე, საფრანგეთზე და მეფეზე მეტადაც შევიყვარებდი. ჟანა და ჟანი. მე მას ბრწყინვალე ჰერცოგს ვეძახდი. უშიშარი მეომარი იყო და კლდესავით საიმედო თანამებრძოლი. ჩვენ არა ერთი დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ ერთად, და თაყვანისცემის ნიშნად მან მე უერთგულესი ცხენი მაჩუქა.

კოცონი – უკეთესი იქნებოდა, ცხენის მნაცვლად ერთი ბავშვი ეჩუქებინა შენთვის.

ჟანა – ძალიან გვიან შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. მე უკვე აღარ ვიყავი ქალი და ვერ შევიყვარებდი მას. ის კი აღ-

ტაცებული თვალებით მიყურებდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დავნებდებოდი.

ჟანა გვირგვინს მოიხსნის თავიდან და გადააგდებს.

ჟანა – მოღალატე! გამყიდველების მეფე! როდესაც ციხე-სიმაგრის კარები დაიხურა, ჟანის ნაჩუქარი ერთგული ცხენი ჩემი ბოლო დამცველი იყო. რამ შეაშინა ფრანგები? ციხე-სიმაგრის კედლის სიმაღლიდან ისინი ხედავდნენ, როგორ მომაქციეს ბურგუნდიელებმა ალყაში! სად არის ჩემი ერთგული ცხენი? ჩვენ ხომ თითქმის ერთ არსებად ვიქეციით: მისი ოთხი ძლიერი ფეხი და ჩემი ხელ-ფეხი, სულ რვა. თავდადებით ვებრძოდით მტრის შემოტევას, მაგრამ ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ, და ბოლოს მე ღონემიხდილი დავეცი. ცხენი კი თავს დამადგა და ტლინკებით იგერიებდა მოერიშეებს, რომ არ მომკარებოდნენ სიახლოვეს. უნდა გენახა, როგორ ზეიმოდნენ ბურგუნდიელები ცხრამეტი წლის გოგოს დატყვევებას! სიხარულს ვერ მალავდნენ: ცეკვავდნენ, მღეროდნენ. საფრანგეთის მეფისგან დიდ გასამრჯელოს ელოდნენ. ბინძურ სარდაფში ჩამაგდეს და ჯაჭვებით დამაბეს, დამცინოდნენ. მე კი ყველაფერს ვითმენდი, მჯეროდა, რომ ჩემი ცხენი მიაღწევდა მეფემდე და მოუყვებოდა მას, როგორი თავგანწირვით ვიბრძოდით მისი გვირგვინის დასაბრუნებლად. მჯეროდა, რომ კარლოსი გადაიხდიდა გამოსასყიდს და დაიხსნიდა თავის ჟანას.

კოცონი (*იღებს გვირგვინს და იღვამს თავზე*). – საბრალო სულელმა სოფლის გოგომ არ იცოდა, რომ მეფეთათვის ღალატი ჩვეული ამბავია. ისინი ადამიანებს არად

აგდებენ! მტვრად, ტალახად მიიჩნევენ. არც ღმერთი-
სა სწამთ, მხოლოდ თვალთმაქცობენ.

ჟანა – მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მოურბენინა შიკრიკ-
მა ბურგუნდიელებს მეფის წერილი. კარლოსი სთა-
ვაზობდა მოლაპარაკებას ზავის პირობებზე, დათმო-
ბაზეც კი მიდიოდა, მაგრამ ჩემს შესახებ სიტყვაც არ
დაუძრავს. დაენანა ძუნწ კარლოსს ჩემს გამოსასყი-
დად ფულის გაცემა.

კოცონი – ასი ათასი ლივრი დიდი ფულია, შეშა კოცონისთ-
ვის ბევრად უფრო იაფია.

ჟანა – საცოდავი ვაჭარი! ისე,შენ „კოცონო, კმაყოფილი
უნდა იყო. ამჯერად არაჩვეულებრივი კუდიანის
დაწვა მოგიწევს. (მოხდის კოცონს თავიდან გვირგ-
ვინს და თვითონ დაიდგამს.) დაიწვევა ყველაზე კე-
თილშობილი, ყველაზე ძვირფასი კუდიანი! მეფის
გვირგვინის ღირსი კუდიანი.

*კოცონი ხელებს აიქნევს, და მისი ბალახონის წითელ
ზოლებად დაჭრილი კალთები შემოეხვევიან ჟანას. შეშინე-
ბული ჟანა განზე გადახტება.*

ჟანა – ხელი დამეწვა. (უბერავს დამწვარ ხელს).

კოცონი – მაპატიე! გეტკინა?

ჟანა – მეტკინა, აბა რა. ნახე, სულელო, როგორ გამიწითლ-
და ხელი.

კოცონი – ჟანა, შენ კუდიანი არა ხარ.

ჟანა – ეს ჩემს მსაჯულებს მოახსენე. ისინი ასე არ ფიქრობენ.

კოცონი – მსაჯულებზე განაწყენებას აზრი არა აქვს. ნუ ბრაზობ, მათ ნაცვლად ინკვიზიტორები ფიქრობენ. მსაჯულები კი მხოლოდ ასრულებენ.

ჟანა – ერთ პატარა კუდიან ჟანას რაში სჭირდება ამდენი შემსრულებელი?

ჟანა მოწყვეტს ბალახს და დამწვარ ხელზე მიიღებს.

კოცონი – ჟანა, შენ ნამდვილად არ ხარ კუდიანი. მათ არც ცეცხლის ეშინიათ და ვერც ტკივილს გრძნობენ.

ჟანა – შენ საიდან იცი? ბევრი კუდიანი დაგიწვავს?

კოცონი – ნამდვილი კუდიანი მხოლოდ ერთხელ შემხვდა. საოცრად ლამაზი ქალი იყო. ყოველდღე ცეცხლით იბანდა პირსა და ხელებს. სახეზე და ტანზე ალს შემოატარებდა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. ხანში შესული იყო, მაგრამ ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

ჟანა – განუდგა ეშმაკს, ცეცხლის ალში გახვეული?

კოცონი – არც უფიქრია. იცინოდა და ინკვიზიტორებს სწყევლიდა.

ჟანა – მეც მეცინებოდა, მსაჯულმა ჟან ლემეტრმა რომ განაჩენი წამიკითხა: “შენ, ღვთისმოსავი მშობლების ჟაკისა და იზაბელა დ’არკის ქალიშვილმა, დომრემიელმა ჟანამ, დაგმე ღმერთი და სარწმუნოება”

კოცონი (*აგრძელებს მსაჯულის ხმით*). – „გაცხადებთ კუდიანად, ბოროტების მქადაგებლად, ეშმაკისეულად, ცრუ წინასწარმეტყველად, ავი სულების მბრძანებ-

ლად, გრძნეულად. ჟანა ექვმიტანილია კერპთაყვანისცემაში და ბილწსიტყვაობაში ღმერთისა და წმინდანების მიმართ.“

ჟანა – „ის მოგვევლინა, როგორც სიმშვიდის დამრღვევი. ის ომისა და სისხლისღვრის მქადაგებელია. მან დაკარგა ყოველგვარი მორიდება და კდემამოსილება, ჩაიცვა ქალისათვის შეუფერებელი სამოსი და ირჩია სამხედრო ტანისამოსი...“

კოცონი – „ამ გარემოებისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო, რაც მიუღებელია ჭეშმარიტი რწმენისათვის, მან გამოაცხადა თავი მეფეთა გადამრჩენლად და ღვთის ნების აღმსრულებლად! კუდიანი! შეჩვენებულ იქნას, როგორც მაცდური კუდიანი!“

ჟანა და კოცონი მხიარულად იცინიან.

კოცონი – მსაჯულებმა წამოგიყენეს სამოცდაათი ბრალდება, თუმცა ჩემს ალში მოსახვედრად ერთიც საკმარისი იყო.

ჟანა – რა იცი შენ, რაში მადანაშაულებდნენ მე მსაჯულები? განაჩენის გამოცხადებისაც დარბაზში ცეცხლი არსად ენთო.

კოცონი – გამოცდილებამ მიკარნახა. პირველად კი არ მომყავს განაჩენი სისრულეში. მსაჯულები ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებენ: ერეტიკობა, თავდასხმა მეფეზე, სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების უარყოფა. (*კოცონი ორ ტოტს გადააბამს ერთმანეთზე ჯვარედინად და ჟანას ტუჩებთან მიიტანს.*) ემთხვევით ჯვარს და უარყავი ეშმაკი.

ჟანა (ეამბორება ჯვარს) – ვგმობ, ვუარყოფ ცრუ მსაჯულებს, ნაძირალა ინკვიზიტორებს, მოღალატე მეფეებს და მათ მშიშარა ქვეშემრდომებს. რა უფლებით გვასამართლებენ ისინი ყოველგვარი საბაბის გარეშე?

კოცონი – მიზეზი ყოველთვის არსებობს, რადგანაც ჩვენ სულ სხვანაირად გვიყვარს საფრანგეთი, ვიდრე მათ.

ჟანა – მაშინ ჩვენც გვაქვს უფლება, გავასამართლოთ ისინი. არც მათ და არც მეფეს არ უყვართ სამშობლო ისე, როგორც უნდა უყვარდეთ. რა შეშლილი და არეული ღამეა. ჩამოსახრჩობი იქცევა მსაჯულად, კუდიანი კი ანგელოზად. დღეს მსაჯულთა გასამართლების ჩვენი ჯერია. აბა, აიღე ტოტი, კოცონო, და აღმართე მომავალ ნაფერფლარზე, ისე, თითქოს ბიბლიაზე დებდე ფიცს.

კოცონი – ვფიცავ, სამართლიანი და ბრძნული ცეცხლით განვწმინდავ ბოროტებისაგან ყოველივეს.

ჟანა – მითხარი, ინკვიზიტორო კომონო, შენი წაბილწული სულის სიღრმეში დარწმუნებული ხარ ჩემს კუდიანობაში? და შენ, მეფეო კარლოს, ასე რომ გსურდა მეფობა. შენ გახდი მეფე, რომელიც პასუხს უნდა აგებდეს ღმერთის წინაშე ყოველი ქვეშევრდომის სიცოცხლეზე. ხომ მიაღწიე წადილს? რატომ არ დაიცავი შენი ერთგული? ნუთუ შენ, ინგლისელო, ნუთუ არ გყოფნის შენი მწვანე კუნძული, მინდვრები და ტყეები, ტაძრები და სასახლეები, საძოვრები და თბილი გოლფსტრიმები? რა საჭიროა ასწლიანი გაუთავებელი ომი, შიში, სიბინძურე, შიმშილი...

კოცონი – ადვილია ქვეშევრდომების მართვა შიშის, შიმშილის და სიბინძურის ფონზე.

ჟანა – რამდენი უმანკო, უდანაშაულო სული დაღუპეს, რამდენი საზიზღრობა ჩაიდინეს, რამდენი კოცონი დაანთეს, და მაინც არ ეყოთ.

კოცონი – მათ ყოველთვის და ყველაფერი ეცოტავებათ.

ჟანა – მე სიცოცხლის გარდა სხვა არაფერი გამაჩნია, და იმასაც მართმევენ.

(მუხლებზე დგება, გულზე ხელებს დაიწყობს და სალოცვად ცაში იყურება) ღმერთო! ჩემი სიცოცხლე მათ რაში სჭირდებათ? ან იქნებ შენ გჭირდება? მითხარი, უფალო, მე გავიგებ.

კოცონი – *(პაუზის შემდეგ)*. გითხრა რამე?

ჟანა – მითხრა.

კოცონი – ჩემს შესახებ?

ჟანა – არა.

კოცონი – მე ყოველთვის ვავიწყდები. და შენ რაო, რა გითხრა?

ჟანა – მერე მოგიყვები. შემიგროვე ფიჩხი.

კოცონი – მერე ამისთვის აღარ გვეცლება, ეხლავე მითხარი. შენი ტანჯვის საყურებლად უამრავი ხალხი მოიყრის თავს.

ჟანა *(ალაგებს ტოტებს და უცებ წამოიყვირებს, – თითქმის ეკალი ერჭობა)*. თურმე როგორი ბრაზიანი და ცნობისმოყვარე ყოფილხარ. რატომ მიჩხვლიტე თითქმის? რა დაგიშავე? მე ცუდის თქმას არც ვაპირებდი. იქ-

ნებ შენ მართალიც ხარ, ახლა სჯობს, როცა მხოლოდ მე, შენ და ვარსკვლავები ვართ. ისინი კი ისე შორს არიან, ვერაფერს გაიგებენ. და თუ გაიგებენ, იქვე დაივიწყებენ. არც არავის სცალია ჩვენთვის, ან რით გავაკვირვებით? სოფლელი გოგონა და კოცონი. ყველას თავის კოცონი ელის. მაგრამ მე და შენ, რაც არ უნდა იყოს, მეგობრები ვართ. ბავშვობაში ვერთობოდით კოცონზე გადახტომით, ისიც მახსოვს, ფეხის გულეები რომ მეწვებოდა (*გამოქანდება და შეშის გროვას გადაახტება*). ადრე უფრო მაღლა ვხტებოდი. ახლა ...აღარ შემიძლია. ძალიან გთხოვ, ცეცხლი სწრაფად მომიკიდე, რომ გავარვარებულ ალში მალე დასრულდეს ჩემი წამება.

კოცონი – სულ ეს არის, რასაც მთხოვ?

ჟანა – შენ მშრალი ტოტები მოაგროვე ტყეში, მე კი აქვე მოვძებნი.

კოცონი ტყეში მიდის. ჟანა ფიჩხს აგროვებს მდელოზე. პოულობს სალამურს და ტურქებთან მიიტანს. ცალკეულ ბგერებიდან იქმნება მარტივი მელოდია. ჟანა შეწყვეტს დაკვრას, მაგრამ მელოდია გრძელდება.

ჟანა – სალამურო, შენ აქ საიდან გაჩნდი? ვინმეს დაეკარგე? თუ დაავიწყდი? ახლახანს აქ არაფერი იყო და უცებ.. (*იყურება ცაში.*) მითხარი, უფალო, სალამური შენ გამომიგზავნე? რა თქმა უნდა შენ. გამხმარი ტოტისაგან გამოთალე. (ცაში იყურება და თავიდან ჯერ ფრთხილად და მერე კი უფრო თამამად წარმოთქვამს სიტყვებს, რომლებსაც განაც ლექსი იქმნება.)

რა დღეა, ნეტავ რა დღეა,
პარასკევი თუ შაბათი?
ვილაცის ჩრდილი კარზეა,
ქიში მელის თუ შამათი?

ვისია ეს სიტყვები, უფალო, შენი თუ ჩემი? უთუოდ შე-
ნია, რადგანაც ამ ქვეყნად ყველაფერი შენით იწყება და შე-
ნით მთავრდება. ძალიან გთხოვ გარკვევით გამიმეორე...

რა დღეა, ნეტავ რა დღეა,
პარასკევი თუ შაბათი?
ვილაცის ჩრდილი კარზეა,
ქიში მელის თუ შამათი?

თითქოს ვილაცა მეძახის,
მაგრამ მე სიტყვებს ვერ ვარჩევ.
სტუმრად მოსული ვინ არის?
მე მას თაიგულს მივართმევ.

ღამე დილაზე ოცნებობს,
სტუმრის ხმა მეჩურჩულებს, –
ის სიყვარულზე მიაძობს
და ყურში მესალმუნება.

ბავშვი არის თუ მოხუცი,
ვერაფრით გამირჩევია,
მე გათენებას მოვუცდი,
ჯერ არჩევანი ჩემია.

ნუთუ ეს შენი ხმა არ არის, უფალო? აბა ვისია მაშინ?
ჩემი? მე ასე არ შემოდლია... ხმა ჩემშიც ისმის და თითქოს
საიდანღაც. არ ვიცი, ტყე მეჩურჩულებს თუ ზეცა...

ჟანა აგრძელებს ლექსის კითხვას და ვერ ამჩნევს ფიჭვის კონით ხელში დაბრუნებულ კოცონს.

რა დღეა, ნეტავ რა დღეა,
პარასკევი თუ შაბათი?
ჩემს კარზე ვისი ლანდია?
მესიაა, თუ ჯალათი?

რას მთხოვს აჩრდილი სულისა,
მორჩილებას და სიყვარულს?
თუ აღსარებას გულისა,
ვერ ვარჩევ სიტყვებს უცნაურს.

ყანა ჭვავისა ირხევა,
ძლიერ ქარს ის ვერ გაუძლებს.
გვირგვინი მე არ მჭირდება,
მე მისი ტვირთი წამაქცევს.

რა დღეა, ნეტავ, რა დღეა?
არც წელი ვიცი, არც რიცხვი.
აჩრდილი ისევ კარზეა,
მე კი პასუხი არ ვიცი.

ის ხელში მაწვდის სალამურს
და ჩუმად ელის სიმღერას.
ვგრძნობ გასაოცარ სიხარულს,
ღმერთს ვუძღვნი ლექსს თუ ქიმერას?

უფალო, რად შემაბრუნე?
სად მიწევს მე სიარული?
წუთია თუ საუკუნე?
საწყისი თუ დასასრული?

კოცონი – რა ლამაზი ლექსია. შენია?

ჟანა – არასდროს მესმოდა, თუ როგორ იბადებოდა ლექსი. ახლა კი მივხვდი. შენ ირჩევ ვინმეს და ჩასჩურჩულე მას შენს სათქმელს... გინდა, რომ დავიმახსოვრო? არ ღირს. არშემდგარ სიცოცხლეზე ლექსის თქმას რა აზრი აქვს?! სიკვდილის წინ ერთ წამში ადამიანების თვალწინ მთელი სიცოცხლე გაიელვებს ხოლმე, შენ კი გინდა, დავინახო ის ცხოვრება, რომელიც ჯერ არ გამივლია? გესმის, კოცონო, ეს ლექსი რაზეა? ის ჩემს არშემდგარ ცხოვრებაზეა. (იციინის.) ჩემგან კარგი მენესტრელი დადგებოდა, შორეულ გზებს მოვივლიდი, ქარის, წვიმის და ვარსკვლავებისგან ბალადებს შევთხზავდი, ვიმღერებდი ბაზრობებზე, მოედნებზე გამართულ ზეიმებზე. ნუ გეშინია, კოცონო, შენ და სალამურს არ მიგატოვებთ, ერთად ვივლით. მოვივლით პატარა ქალაქებს, ბაზრობებს, ჟანა, სალამური და კოცონი.

კოცონი – მე დავიწვები, სალამური დაუკრავს...

ჟანა – მე კი ბალადებს შევთხზავ. ბავშვობას გავიხსენებ და შენს ალს გადავახტები. შიში გაქრება და სიყვარული გამეფდება. ჩვენი შემყურე ადამიანები გამხიარულდებიან, გაიცინებენ, ტაშს დაგვიკრავენ და ბანსაც გვეტყვიან.

კოცონი – ნუ გვიყრით ხურდა ფულს ფეხებთან, ჟანა და კოცონი სიყვარულს უანგაროდ გასცემენ. ჩვენი ამბავი ისე სწრაფად მოედება ქვეყანას, რომ, ქალაქში ჯერ შესული არ ვიქნებით, ხალხი უკვე შეკრებილი დაგვხვდება ხოლმე, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე აქ შეიკრიბება ჩვენი ტანჯვის სანახავად..

კოცონი – არა, მე არ დავუშვებ იმას, რომ ჩვენ ბოლომდე ჩავიფერვლოთ. ვიდრე კოცონი სულ მთლად ჩაქრება, მე ამოვარჩევ ერთი პატარა ტოტის ნაღვერდალს, და ჩვენ გავაგრძელებთ გზას.

ჟანა – რამდენ გზასა და ქალაქს მოვივლით! ყველა ციხესიმაგრის კარი გაიღება ჩვენ წინ. ლამანშსაც კი გადავცურავთ, ის არც ისეთი დიდია, რომ ვერ გადავლახოთ. იცოდნენ ინგლისელებმა, რომ ჟანა არ არის ღვარძლიანი და მიტევება შეუძლია. რას იტყვი, კოცონო, ხომ კარგად მოვიფიქრე?

კოცონი გამოართმევს ჟანას სალამურს და იწყებს მხიარული მელოდიის დაკვრას.

ჟანა (ცეკვით შემოივლის მდელს.) – ჩემს არშემდგარ ცხოვრებაში მე დავწერ სიმღერას ქალულ ჟანაზე. შენ მოგეწონება, კოცონო. თითქოს მე უკვე სხვა ჟანა ვარ, რომელიც თავის თავს აღარ ეკუთვნის. და შემდგომში ამ სიმღერას უკვე სხვები იმღერებენ...

მოულოდნელად შეჩერდება და ცას მიაყურადებს.

ჟანა –...არაფერი გამოვა? შენ მართალი ხარ. თუ არ იქნება ცეცხლი და მე არ დამწვავენ, მაშინ რაღაზე იქნება სიმღერა? კარგი, დაე, დამწვან. მე არ მაქვს არშემდგარი ცხოვრება, მხოლოდ ის, რაც დღემდე გავიარე. სიმღერას სხვაც კი იტყვის. არა უშავს, თუ ჩემს შემდეგ იმღერებენ... კოცონო, თავზე გადამისვი ხელი, ოღონდ ფრთხილად, თმაზე ცეცხლი არ მომიკიდო.

ჟანა კრეფს ხმელ ტოტებს და შეშის გროვაში ამატებს.

კოცონი – ჟანა... მე არ მინდა, რომ შენი კოცონი ვიყო.

ჟანა – ინკვიზიტორებივით უმანკო სულის დაწვის გეშინია?

კოცონი – საერთოდ არ მინდა ვიწვოდე...

ჟანა – წარმომიდგენია, რა დაემართება ჯალათს. ის ცეცხლს გიკიდებს, შენ კი ალი არ გეკიდება. რა მოხდა? რაშია საქმე?

კოცონი – აღარ შემიძლია ამდენი ტანჯვისა და ვაების ყურება. მომბეზრდა დამნაშავეთა და უდანაშაულოთა დაწვა. ნუთუ არ შეუძლია ინკვიზიციას, რომ ამარიდოს თავი? ნაჯახი, ტყვია, სახრჩობელა ბოლოს და ბოლოს!

ჟანა – რამე ხომ არ გაწყინა ჩემგან?

კოცონი – ვის შეუძლია ჩემი წყენა? მე ხომ ცეცხლი ვარ. დედამიწაზე მე თქვენზე, ადამიანებზე, უფრო ადრე ვარ მოსული. მე თქვენს გადასარჩენად ვარ გაჩენილი და არა ინკვიზიციისათვის ადამიანთა დასაწვავად. მომბეზრდა და აღარ მინდა.

ჟანა – გასაგებია. არ გინდა იწვოდე ჩემთან ერთად. გირჩევნია, რომ სადმე მყუდრო ადგილას სანთლად ენთო და იქიდან მითვალთვალო, როგორ მომაჭრიან თავს.

კოცონი – ერთი დარტყმა, და არავითარი წამება.

ჟანა – და სილამაზე?

კოცონი – რა შუაშია სილამაზე?

ჟანა – ნაჯახი ხომ საშინელებაა, მით უმეტეს ქალისათვის. აბა წარმოიდგინე. მოჭრილი თავი კალათაში, სხეულს ჭიები ესევიან. შენ თვითონ არ ამბობდი, რომ კოცონში დაწვა განწმენდის ტოლფასია და ლამაზი?

კოცონი – მირჩევნია, რომ სხვა კოცონმა დაგწვას.

კოცონი ფეხით დაშლის შეშის გროვას და ტყისაკენ გაემართება.

ჟანა (*მიამახებს*) – მოღალატე! ბედი არ გინდა, დაიბადო ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა ერთმანეთს ყიდის! ყარაულო! (*ხმას არავინ სცემს. ჟანა კოცონის მიერ გაფანტულ ტოტებს აგროვებს და შეშის გროვას ზევიდან აყრის.*) რა ვქნა, ჩემით ხომ არ დავიწვავ თავს? კი მაგრამ, ეს ხომ ცოდვაა. (*ყვირის .*) ყარაულო!

ტყიდან გამოდის თავიდან ფეხებამდე დასველებული კოცონი. სველი ბალახონი ეწეპება ტანზე.

კოცონი – ტყუილად ყვირი. ყარაული არსად სჩანს.

ჟანა – ალბათ დათვრნენ და მკვდრებივით სძინავთ (*ხელს შეახებს კოცონს*) რა მაგრად დასველებულხარ!

კოცონი – ცივ ნაკადულში ვიბანავე.

ჟანა – გაციების არ გეშინია?

კოცონი – დღისით მზე გამოვა და გავშრები.

ჟანა – რა დალაგებულ სამეფოში ვცხოვრობთ...ყარაული დაიკარგა, კოცონი დასველდა, ცეცხლს არ იკარებს. არ ღირდა ინგლისელებთან ომის დაწყება. ისინი წესრიგს უკეთესად იცავენ!

კოცონი – არც ისინი იქცევიან სამაგალითოდ. ათი ათასი ლივრი გადაუხადეს ბურგუნდიელებს შენი თავის სანაცვლოდ და მერე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აჩუქეს შენი თავი ფრანგებს.

ჟანა – ასე უბრალოდ ისინი არაფერს აკეთებენ. ინგლისელები ჭკვიანი პოლიტიკოსები არიან. რატომ უნდა დაიდონ ცოდვა, თუ შესაძლებელია ბინძური საქმის მტრის, ფრანგების ხელით შესრულება. საინტერესოა, რაში დახარჯეს ჩემს თავის სანაცვლოდ აღებული ოცდაათი ვერცხლი? შენ არაფერი გხვდა წილად, კოცონო?

კოცონი – რა სისულელეა, ჟანა. ჯალათებს ყოველთვის უბდიან შესრულებულ სამუშაოში საფასურს. ჩემს კაბას მოგცემდი, რაკი სხვა არაფერი გამაჩნია, მაგრამ ის ჩემთან ერთად დაიწვება.

კოცონი – მე ჯალათი არა ვარ და არც შენს დაწვას ვაპირებ.

ჟანა – რატომ?

კოცონი – ეტყობა ვბერდები. სენტიმენტალური ვხდები. ახლა გამახსენდა. შენი პატარაობისას თქვენს სახლში დიდი ხანძარი იყო.

ჟანა – ყველა იმას გაიძახოდა, რომ სასწაულით გადავრჩი.

კოცონი – ის სასწაული შენ იყავი. ლოგინში მოკალათებული პაწაწინა, ლამაზი არსება. .. როდესაც ცეცხლმა შენამდე მოაღწია, მე ჩაგხედე თვალებში და შემეშინდა.

ჟანა – შეგეშინდა პატარა გოგონასი?

კოცონი – შემეშინდა, როდესაც შენს თვალებში შიში ვერ დავინახე. ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებსაც, – ყველას ეშინია ცეცხლის, და თუ ვინმეს არ ეშინია, ის ზეარსებაა. შენ მეკითხები, თუ რამ შეაშინა კარლოსი, მსაჯულები, ინკვიზიცია, ფრანგები, რომლებმაც შენ და შენი ცხენის ცხვირწინ მოგიხურეს ციხესიმაგრის კარიბჭე? მათ, ისევე როგორც მე, ვერ დაინახეს შენს თვალებში შიში და ამიტომაც თავად შეეშინდათ. ძალიან ძლიერმა შიშმა მოიცვა ისინი. მაპატიე, მაგრამ მე ვერ დაგწვავ შენ.

ჟანა (*პაუზის შემდეგ.*) – მაშინ მეცეკვე ცხენის ბრანდლი.

კოცონი – მე მხოლოდ ერთი ცეკვა ვიცი, დედამიწაზე უძველესი ცეცხლის ცეკვა. არც მუსიკა მჭირდება და არც სიმღერა ცეკვის დროს. მუსიკაც და სიტყვებიც ჩემია. იმ მუსიკას სულ სხვა სიტყვები ახლავს: კივილი, ვედრება, კვნესა და სიცილი. ჩემი ცეკვის ცეცხლში იწვის ყოველი უბედურება: სირცხვილი და სასოწარკვეთა, განა ვინ მოინდომებს ასეთ მუსიკის ქვეშ ცეკვას?

ჟანა – მე ვიცეკვებ.

კოცონი – ცეცხლის არ გეშინია?

ჟანა (ეხუტება კოცონს). – არ მეშინია, შენ ხომ სველი ხარ.

ჟანა და კოცონის ისეთ შფოთიანი და რიტმული კაკუნის ქვეშ ცეკვავენ, რომელიც გულის ცემის ხმას გვაგონებს.

კოცონი – გესმის, ჟანა, ჩვენი გულისცემის ხმა? მიდი, იცეკვე. იცეკვე ჩვენს ცეკვაში დაიწვება ყველაფერი, სიყვარულის გარდა.

ცეკვის რიტმი აჩქარდება.

კოცონი – ამ ცეკვაში დაიწვება ყოველი უბედურება, სასო-
წარკვეთა და სირცხვილი...

*კოცონი ხელში აიტაცებს ჟანას და ცეკვით შემოუვ-
ლის დასაწვავად გამზადებულ შეშის გროვას. ისმის ცხე-
ნის ჭიხვინი. ჟანა და კოცონი მიაყურადებენ მას.*

ჟანა – ეს ჩემი ერთგული ცხენია, ბრწყინვალე ჰერცოგის სა-
ჩუქარი!

კოცონი – შენი ცხენი დაბმულია ნამძნარში და გელოდება.
ყარაული არ სჩანს. აქვე სოფელში შენ სანდო ადამი-
ანები გელოდებიან. გაიქეცი, ჟანა, უშველე თავს!

ჟანა – ნუთუ ყველა ფრანგს არ უღალატია ჩემთვის? ნუთუ
არიან ისეთებიც, ვისაც არ ეშინია მეფისა და ინკვი-
ზიციის?

კოცონი – იჩქარე, ჟანა, მალე გათენდება.

ჟანა *(ცაში იყურება)*. – ხმაო ღვთისაო, თუ გესმის ჩემი? მე
ყველაფერი შევასრულე, რაც კი მიკარნახე. მიპასუხე,
რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

კოცონი – გაიქეცი, ჟანა, თავს უშველე, სანამ დროა!

ჟანა – დამაცადე, ხელს ნუ მიშლი. *(იღებს სალამურს და
გაისმის მარტივი მელოდია. ამ მუსიკის ქვეშ ჟანა იქვე
თხზავს ლექსს)*.

ღმერთო, მაცალე სიცოცხლე,
მე ხომ ჯერ არ მიცხოვრია,
არც სიყვარული არ ვიცი,
და არც მიჯნური მყოლია.

წმინდა წყაროსთან მიმიშვი,
წყურვილი მომაკვლევინე,
ღვთიური ძალით ამავესე,
გმირობა ჩამადენინე.

უშველო ყველა დაჩაგრულს,
გზები გაუხსნა ზეცისა
და გავხდე მათი იმედი,
ავისგან გადამრჩენისა.

ნაპირი ტბისა შავდება,
წყალი კი შავზე შავია.
ალუბლის თეთრი ფერი კი
საამო სანახავია.

მინდვრის ყვავილთა კრეფაში
მე ჩემს სიმღერას ავაწყობ,
სულსა და სხეულს გალობით
საამო ჰანგით დავატკობ.

თითქოს ყველაფრის შემძლე ვარ,
თითქოს ყველაფერს მოვასწრებ,
მაგრამ რა გულსატკენია,
დროს რომ ვერაფრით გაუსწრებ.

(*პაუზის შემდეგ*). – ვერ მოვასწრებ, ვერ მოვასწრებ! გაიგე, კოცონო, რა მიპასუხეს?

ტყიდან ისევ გაისმის ცხენის ჭიხვინი.

ჟანა – მაპატიე, ჩემო ერთგულო ცხენო, მაგრამ მე აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი. ვიცი, რომ, ისეთი ადამიანები მულოდებიან, ვისაც სჯერათ ჩემი. ენდობიან ,რაკი ჩემს თვალებში შიში არ შეუმჩნევიათ და მე, თუ ახლა დავიძალეები და სულ იმის ფიქრში ვიქნები, რომ არავინ მიცნოს, მაშინ შიში ჩემს თვალებში აუცილებლად დაისადგურებს, ადამიანები დაინახავენ ამას და აღარავინ მენდობა ... გადაეცი ჩემო ერთგულო ცხენო, შენს ალანსონელს ჟაკს მადლობა ჩემგან ყველაფრისათვის... უთხარი, რომ ორლეანელი ჟანა უბრუნებს ძვირფას საჩუქარს...

კოცონი – კი მაგრამ, ეს ხომ სისულელეა.

ჟანა – განა შენი ბანაობა გაყინულ წყალში უფრო უაზრო არ იყო? ინკვიზიციას ვერ მოატყუებ. მათ ამდაგვარი შემთხვევებისათვის თხელი ფისის მთელი კასრი აქვთ გამზადებული. მიმაბავენ ბოძზე, შენ, გაწუწულს შეგასხავენ მას, და, როგორც ჩირაღდანს, ისე მოგეკიდება ცეცხლი. შენ ჯერ აშიშინდები, კვამლი აგივა და მერე უცებ მოგედება ძლიერი ალი. შენ ხომ კოცონი ხარ, და აბა ვის უნახავს კოცონი რომ არ იწოდეს, მით უმეტეს, თუ მას თხელი ფისი შეასხეს.

კოცონი – ჩვენ ეს არ დაგვჭირდება.

ჟანა (კოცონს ბალახონზე ხელს გადაუსვავს.) – შენ სრულიად მშრალი ხარ.

კოცონი – ცეკვის დროს ისე გავხურდი, რომ გულის სიღრმემდე გამომშრალი ვარ.

ჟანა – ესე იგი შენ თანახმა ხარ?

კოცონი სდუმს. ჟანა შემოეხვევა კოცონს.

ჟანა – მადლობელი ვარ.

კოცონი – მე კი შენი მადლობელი.

ჟანა – კი მაგრამ, რისთვის?

კოცონი – შენ პირველი ხარ, ვინც მე არ მწყევლის.

ჟანა (იციინის). – ჩვენ ხომ უცხოვია არა ვართ. შენ მე პატარობიდან გახსოვარ...

კოცონი – ნუთუ სულ არ გეშინია?

ჟანა – ჩამხედე თვალებში და მიხვდები.

კოცონი თავს გადაუწევს ჟანას და თვალებში ჩახედავს

ჟანა – არ მეშინია. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ სიყვარულის განცდა ჯერ არ მქონია. ნუთუ ისე უნდა მოგვკდე, რომ ვერ გავიგო ნამდვილი სიყვარულის ნეტარება. როცა მამაკაცი და ქალი ვნებას მიეცემიან და ყველაფერი ავიწყდებათ. ქვეყნად ერთხელ მე შევესწარი ასეთ ამბავს ოღონდ არ გეგონოს, რომ იმ ქალაჩუნა მეფესავით ვუთვალთვალედი. ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა.

თივის ზვინში მძინარეს მომესმა ვიღაცის ისეთი წივილ-კივილი, თითქოს კლავდნენ უბედურს. ძალიან შემეშინდა. ფრთხილად გადმოვიხედე და დავინახე, რომ შიშველი კაპიტანი ბოდრიკური ჩვენი სოფლის მოსულელო გოგოსთან რაღაც გაუგებარი ჭიდაობის ილეთებს ასრულებდა. გოგონა შვიდნაირ კვანძად იყო გადაგრეხილი ისე, რომ თავიდან ძალიან შემეცოდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ სიამოვნებისაგან გამოსცემდა არაადამიანურ ბგერებს, გული წამივიდა... ამის შემდეგ, დიდხანს სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი. რამდენჯერაც მამაკაცს დავინახავდი, იმ წამსვე ის სცენა წარმომიდგებოდა თვალწინ. მინდოდა, რომ იგივე განმეცადა, მაგრამ არ შემეძლო. ხმები მიშლიდნენ. როდესაც ფრანსუამ გადამაწვინა თივის ზვინზე და ტანზე გახდა დამიპირა, ხმების მთელმა ქორთმ ჩამძახა ყურში: “შენთვის არ შეიძლება! არ შეიძლება!” რატომ არ შეიძლება? ღმერთმა ხომ ქალად სიყვარულისთვის, ოჯახისათვის და შვილებისთვის გამაჩინა. შემქმნა და მერე გადაიფიქრა? მთელ საფრანგეთში ვერ მონახა ღირსეული მამაკაცი და ამიტომ გამაგზავნა ორლენის გასათავისუფლებლად. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. მალე სიკვდილიც მომაკითხავს. უკვე არავინ მეტყვის, რომ ჩემთვის რაიმე არ შეიძლება. პირიქით. იციან, რომ შეყვარებული ვარ, და გაუხარდებათ, თუ დამინახავენ ვინმეს მკლავებში ვნებისაგან გადარეულს. დიახაც, კოცონო, რომ შეყვარებული ვარ. ახლა უკვე ნამდვილად ვიცი, რომ ეს ჭეშმარიტი სიყვარულია, პირველი და უკანასკნელი. შეეკითხე მილიონ ქალს, თუ განუცდიათ ასეთი სიყვარული, ან იქნებ არც კი განუცდიათ. იქნებ საერთოდ ჯერ არავის განუცდია ისეთი სიყვარული, როგორმაც გამიტაცა მე და ჯერ არავის

ჰყოლია ისეთი შეყვარებული, როგორც მე მყავს. მე მისთვის პირველი და უკანასკნელი ვიქნები. მან ეს იცის და ჩემი გულის მოსაგებად არაფერს დაიმშურებს, ის ჩემთან ერთად დაიფერფლება უსაზღვრო სიყვარულის ალში. ერთად ჩვენ ყველაფერს მოვასწრებთ. ის ჩაიბარებს ჩემს ქალწულობას ისე, როგორც ეს აქამდე ჯერ არავის ღირსებია. ხვდები კოცონო, თუ ვის ვგულისხმობ მე?

კოცონი – ვხვდები.

ჟანა – ჩემი ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული შენა ხარ! შენი სიყვარულის ალში მე დავიწვები ბოლო ფერფლამდე. ცეცხლი მოედება მთელ ჩემს სხეულს, დამწვავს ბოლომდე, და მე ვიყვირებ ისე ხმამაღლა, როგორც ის სოფლის გოგო, რომელსაც კაპიტანი ბოდრიკური ეალერსებოდა. ოღონდ ნუ შეგაშინებს ჩემი ავგანწირული ყვირილი, ვნების ექსტაზში შესული ქალები, რა წესიერებიც არ უნდა იყვნენ, ზოგჯერ იგინებიან, როგორც მეძავეები, მაგრამ ეს სიყვარულის გამოძახილია და არა გარყვნილების.

უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ჩემი ბაგენი წარმოთქვავენ, შენი სახელი იქნება მაგრამ, მაპატიე, კოცონო, მე რომ არ ვიცი შენი სახელი... მითხარი შენი სახელი. წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ფრანსუას თუ დაგარქმევ. იმ ფრანსუას კი არ ვგულისხმობ, რომელიც ამის ღირსი არ არის, არამედ იმას, რომელიც საფრანგეთისაგან არის წარმოშობილი. როცა, შენს ალში გახვეული, მე ვახსენებ ფრანსუას სახელს, სიყვარულითა და წყევლით მე საფრანგეთს ვიგულისხმებ. მე სიყვარულით მოვიხსენიებ საფრანგეთს, თუნ-

დაც იმიტომ, რომ მეც ფრანგი ვარ და მაღლობელი ვარ იმისათვის, რაც მან გააკეთა ჩემთვის. მაგრამ მე დავწყევლი კიდეც საფრანგეთს იმისათვის, რომ მან გამყიდა. მე წყევლით მოგიხსენიებ შენ, საფრანგეთო, იმიტომ რომ დედამიწაზე არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც არ კლავდნენ ჭეშმარიტად მოსიყვარულე პატრიოტებს. და მთელ დედამიწაზე არ მოიძებნება ისეთი გვირგვინი, რომელიც ადამიანის ღირსი იქნებოდა. იმიტომ, რომ გვირგვინი მხოლოდ რკინაა და სხვა არაფერი... ბოროტი რკინა, რომელიც თავისი დიდებისათვის მზად არის, თუნდაც ასი წელი იომოს...

კოცონი ეხვევა და ამშვიდებს მტირალ ჟანას. მამლების ყვილი გვაუწყებს გარიჟრაჟს.

ჟანა – მამლები ყვიან.. მე რომ დავიბადე, მაშინაც ყიოდენ, ახლა კი ვკვდები...

კოცონი ფიჩხს მოუკიდებს, ცეცხლის ალი მოედება შეშის გროვას.

კოცონი – შენ მზადა ხარ, ჟანა?

ჟანა – მე მზად ვარ... ოღონდ ერთ უკანასკნელ თხოვნას თუ შემისრულებ?

კოცონი – მითხარი რა თხოვნაა? მეცა მაქვს შენთან ერთი თხოვნა.

ჟანა – რა თხოვნაა?

კოცონი (*ჟანას წინ მუხლებზე დგება*). – ადამიანთა მკვლელობის ცოდვა შემინდე და მაპატიე.

ჟანა (კოცონის თავზე ადებს ხელებს) – მიპატიებია! ყველა ცოდვას გაპატიობ განზრახ და უნებლიედ ჩადენილს.

კოცონი – შენ რა თხოვნა გაქვს?

ჟანა – ძალიან უბრალო. ცოლად მომიყვანე. მღვდელი არ დაგვჭირდება. თვით უფალი დაგვწერს ჯვარს, ჟანას და კოცონს, კოცონს და ჟანას. დღეიდან და სამარადისოდ ჩვენ განუყოფელნი ვიქნებით.

კოცონი (ოფიციალურ ტონით). – შენ, ჟანა, დაბადებული დომრემიში, ღვთისმოსავე მშობლების ჟაკისა და იზაბელა დ'არკის ქალიშვილი, თანახმა ხარ თუ არა, რომ ცოლად გაჰყვე კოცონს და უერთგულო მას?

ჟანა – თანახმა ვარ. და შენ, კოცონო, თანახმა ხარ, რომ ცოლად მოიყვანო ქალწული ჟანა და უერთგულო მას?

კოცონი – თანახმა ვარ.

კოცონი ხელში აიყვანს ჟანას და შეშის გროვის შუაგულში დგება. კვამლის გამოჩენის შემდეგ ცეცხლის ალი ეკიდებათ მათ.

ჟანა და კოცონი (ყვირიან). – და ვიდრე სიკვდილი არ დაგვაშორებს ჩვენ!

ჟანა ქართ

ვიდრე სიკვდილი არ დაგვაცილებს ჩვენ! ვერ დაგვაცილებს... ვერ

დაგვაცილებს...

დასასრული

თქრგმნა გ. ქებურიამ

სარჩევი

იყო და არა იყო რა.....	3
ანი ბანი.....	4
ბერ თუშის სიმღერა.....	5
წვიმის მადლი.....	7
გაღას ღვთაებრივი სული.....	9
სიზმრად გნახე, ვერ მიცანი.....	10
შენ მხოლოდ ის თოვლი გიცნობდა.....	11
აი ია.....	12
ჩემს გულში ისევ სევდის კვალია.....	13
ავტოპორტრეტი.....	14
ზღაპარი დიდებისთვის.....	15
ნუთუ ეს საქართველოა?.....	17
მოვინანიოთ ცოდვები.....	19
ხმაში ქრება სითბო ბგერის.....	20
ჭაბუა ამირეჯიბის	
– ბერი დავითის ხსოვნას.....	21
ენების მარანი.....	22
ზაურ ბოლქვაძის მეუღლეს, ჯენარო გეწადეს.....	23
ლპტიმისტური სონეტი.....	24
თარგმანები.....	25
А.С.Пушкин, Я вас любил: любовь еще, быть может.....	25
Не пой, красавица, при мне.....	27
Михаил Лермонтов А. О. Смирновой.....	29
Анна Ахматова, Что ты бродишь неприкаянный.....	31
Анна Ахматова, И упало каменное слово.....	32

В мире много тоски (Из старых китайских повестей)	34
Жак Превер, Горечь завтрака	35
Японская поэзия	37
Заур Квижинадзе (Тихон Влади), Нине – просветительнице Грузии.....	42
Сергей Сургучев, Стихи рождаются, как взрыв.....	43
Г.КЕБУРИЯ, «ЕЩЕ НЕ ВЕЧЕР...»	47
Инга Гаручава, Друзьям	51
მარინა შენგელია, სახუმარო ექსპრომტი.....	54
გუგული ქებურია დ.გ.....	56
Здравствуй! Прощай!	57
Генрих Гейне, О, если ты станешь моей женой,	58
Игорь Аглицкий, Жизнь в 100 словах	59
Мария Петровых.....	63
В тени Важа Пшавела.....	67
Наталья Крандиевская, Небо называют — голубым	69
ჩანახატები.....	70
ინდიგო ბავშვები.....	70
სიყვარულის ფორმულა.....	72
ველოსიპედი.....	74
ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი, ჟანა და კოცონი	76



გიორგი (გუგული) ქებურია დაიბადა 1936 წლის 10 ნოემბერს. განათლებით ინჟინერ-მექანიკოსი, პროფესიით – ეკოლოგი.

2010 წელს, მისი სამეცნიერო ნაშრომი: „კაცობრიობის ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია“ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციით აღი-

ნიშნა საქართველოს ეროვნული პრემიით. თბილისის საავიაციო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ავიაციისა და ჰაერნაოსნობის ისტორიის შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ სერგო ტეფნაძესთან ერთად გამოსცა წიგნი:

„ცის დაპყრობის ისტორია – ოცნებიდან რეალობამდე“.

ავტორია ლექსებისა და პროზის კრებული: „Ухи одной осени“. აგრეთვე: გამოცემული აქვს ქართული პოეზიისა და პროზის თარგმანების წიგნი და შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი, პოეტური ფორმით რუსულ ენაზე.

2014 წელს, საუკეთესო თარგმანისათვის მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია.

ISBN 978-9941-0-6900-0



9 789941 069000